ჩვენი გზა

№ 18

თფილისი

1907

ოთხშაბათი, 26 სექტემბერი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

გაზეთ „ჩვენი გზა“-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორაში ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე. დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმეობით—დილის 11-დან 12 საათამდე.

ადრესი: Тифлис, контора редакціи „Чвени Гза“, Великокняжеская № 35.

№ 18 ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 18

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ჩვენი გზა

გამოდის თფილისში 1907 წლის 2 სექტემბრიდან.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით ქალაქ გარეთ 90 კაპეიკი.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ერთი თვით ინახება მხოლოდ ვრცელი წერილები. წერილობითი ცნობებისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. კვირა-უქმეობით დილის 11 დან 12 საათამდე.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტ. პეტიტით 15 კ., მეოთხეზე 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, контора редакціи „Чвени Гза“, Великокняжеская № 35.

გაზეთ „ჩვენი გზა“-ს რედაქციის კანტორა დაბეჯითებითა აცხადებს, როგორც აგენტების, ისე სხვათა საყურადღებოთ, რომ ფული უსათუოდ შემდეგ ადრესზე უნდა გამოგზავნოს: Тифлисъ, типографія „Сорапань“ **НЕСТОРУ КИШВАРДІЕВИЧУ ЦИНЦАДЗЕ.**

ეკატერინე იაგორის ასული, ვარვარა, ნინა და დათიკო კარაპეტოვები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ამხანაგებს უდროოთ გარდაცვალებას პირველი შვილისას და მეორე ძმის

გიორგი ალექსანდრეს ძე კარაპეტოვისას.

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ᲔᲓᲘᲗᲝᲠᲘ

ივ. გომართელი

პირველი ოქტომბრიდან მიიღებს ავთმყოფებს ქ. თფილისში.

გოლოვინის პროსპექტი, თამამშეკის სახლი № 33.

მედიცინის დოქტორი

ს. ა. ლიური

საიმპერატორო სამხედრო-საექიმო აკადემიის კლინიკის ყოფილი ორდინატორი **ᲧᲣᲠᲘᲡ, ᲧᲔᲚᲘᲡ** და **ᲪᲮᲕᲘᲠᲘᲡᲐ** იღებს ყოველდღე ავათმყოფებს დღის 1—2 ს. და საღამოს 5—7 ს.

პეტერბურგის ქ, № 10. ტელეფ. № 595.

ᲜᲐᲤᲘᲪᲘ ᲕᲔᲥᲘᲚᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ

ივანე იოსების ძე **ᲙᲐᲩᲣᲮᲝᲕᲘ.**

გადავიდა ვერის დღმართზე (Верійскій спускъ) სახლი № 11. 10—5

ᲜᲐᲤᲘᲪᲘ ᲕᲔᲥᲘᲚᲘᲡ

ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ

ნიკოლოზ ზურაბის-ძე **ᲔᲚᲘᲐᲕᲐ**

გადავიდა ოლგინის ქუჩაზე № 34.

(10—2)

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ ივ. გომელაურის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო

სკოლებში შესასწავლი

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ

მათი სურათებით და ბიოგრაფიებით.

წიგნი პირველი,

მეორე გამოცემა, შევსებული და შესწორებული. შეიცავს 416 გვერდს და **ღირს ᲧᲓᲘᲗ ᲗᲝᲗᲮᲛᲔᲢᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ.** მაღაზიებს და სასწავლებლებს დაეთმობა 20 პროცენტი.

ამ წიგნის საწყობი იმყოფება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში, (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა ქარვასლა). ადრესი: Тифлисъ, Общество распространенія грамотности среди грузинскаго населенія. (0—6—5)

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ამზადებს მასწავლე ქალ-ვაჟთ უმეტეს სასშვალო და დაბალი სასწავლებლისთვის. ამზადებს აგრეთვე სახალხო სკოლის მასწავლებლის ხარისხის მისაღებათ.

ადრესი: გოლოვინის პროსპექტი, სახლი № 28 ბინა № 3, ეზოში.

ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲫᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲖᲜᲔᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲨᲘ.

II

როდესაც გაზ. „როსიამ“ წამოაყენა თეზისი—კანონიერი მთავრობა არსებობს, მაშასადამე, მას ზნეობრივი ავტორიტეტიც მოეპოვებაო,—მან კარგათ იცოდა, რომ იმპერიაში, უკვე ორ წელიწადზე მეტია, აშკარა და ძლიერი მოძრაობა სწარმოეს მთავრობის წინააღმდეგ. მთავრობის ორგანო პირდაპირ ეხებოდა კიდეც ამ მოძრაობას. იგი სწერდა: „ჩვეულებრივათ საქმე ამნაირათ ხდება: რევოლიუციის ტალღები ასკდება კანონიერ მთავრობას და ესწრაფის წალეკოს იგი, **რათა ამ რიგათ** წაართვას მას ზნეობრივი ავტორიტეტი; ხალხის მასსა ერთი ხანობა იმყოფება გამოურკვეველ და ორეოფ მდგომარეობაში; იმის მიხედვით თუ როგორ მოიქცევა ეს ხალხის მასსა—შეინარჩუნებს იგი ზნეობრივ ავტორიტეტს კანონიერ მთავრობას თუ გადაიტანს მას რევოლიუციონურ ტალღებზე, ამის და მიხედვით სწყდება საკითხიც! მაგრამ იმ კანონიერ მთავრობამ, რომელმაც უკუაგდო (სძლია) რევოლიუციონურ ტალღების ზედმოსევა, ამით უკვე დაგვანახვა, რომ მას შეურჩენია თვისი ზნეობრივი ავტორიტეტი, თუნდაც ემოქმედნოს მხოლოდ და მარტო ფიზიკურ ძალის საშუალებით“.

ოფიციოზისა აქ მოყვანილი ტირადა (წერილის ადგილი) არკვევს საზოგადოებრივ დინამიკის (მოძრაობას) მეტათ საინტერესო მომენტს და ჩვენც გვინდა სწორეთ მასზე შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ „როსიასაგან“ რევოლიუციონურ ტალღების ხალხის მასსისთვინ დაპირდაპირება სრულებით არ შეესაბამება ცხოვრების სინამდვილეს. რევოლიუციონური ტალღებს გამოწვევა არ შეიძლება ხელოვნურათ. რევოლიუცია არ კეთდება, იგი ბუნებრივი პროცესია; შეიძლება ცალკე თავგადადებულმა აგიტატორებმა—შეთქმულებმა და მთელმა ჯგუფებმა თავი გასწირონ მთავრობასთან შეტაკებაში და მათი ასეთი თავდადება სრულებითაც არ იყოს რევოლიუციონური აქტი. სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, პირდაპირ დავასახელებთ: რევოლიუცია არის ღრმა სოციალური პროცესი, რომელსაც აწარმოებს ხალხის მასსა და რომლის შინაარსია ცხოვრების ძირითადი ცვლილება, სულ ერთია, ეს უკანასკნელი მოხდება მშვიდობიანი გზით თუ მოქალაქობრივ ომის საშუალებით. მაშასადამე, რევოლიუციონური ტალღა ვერ აგორდება გარეშე ხალხის მასსისა; და თუ სახელმწიფოში „რევოლიუციონური ტალღები ასკდება კანონიერ მთავრობას“, ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხის მასსა უკვე ამოძრავებულა, ხოლო ეს ამოძრავება კი ვერ მოხდებოდა უამისოთ, თუ კანონიერ მთავრობას არ დაეკარგებოდა ზნეობრივი ავტორიტეტი, რომელიც წინათ ხალხს იჭერდა სრულ მორჩილებაში.

მერე ასეთ პირობებში რითი ღა აიხსნება მთავრობის გამარჯვება? მარტო ფიზიკური ძალით? ჩვენ უკვე შევნიშნეთ პირველ წერილში (იხ. ჩ. გზ. № 16), რომ თვით ფიზიკური ძალაც ამ შემთხვევაში ზნეობრივ ავტორიტეტის თუ ძალის გამოხატულებაა. მაშ, თუ მთავრობამ სძლია რევოლიუციონურ ტალღებს, ცხადია, კიდევ ყოფილა ხალხის განსაზღვრული ნაწილი, რომელიც მას ერთგულობს. შეძლება ეს ნაწილი პატარა უმცირესობა იყოს, მარა მაინც სძლევდეს დიდ ნაწილს ხალხისას. ამის მიზეზათ ჩვეულებრივ იმას ასახელებენ, რომ პირველი შეიარაღებულია და მეორე კი უიარაღოვო, მაგრამ ეს ძალიან ზერელე ახსნაა საქმისა. ყოველ სოციალურ ბრძოლაში საბოლოო ანგარიშით გადამწყვეტია ზნეობრივი ძალა და არა ფიზიკური. ასე რომ, შეიძლება იმ ხალხის მასსამ რომელსაც თავიდან ერთი დაჟანგებული რევოლვერიც არა ჰქონია, შეიძლება იმ მასსამ სანაქებოთ სძლიოს საუკეთესოთ გაწვრთნილი ჯარი. ამ „თილისმას“ იძლევა იმავ ზნეობრივ ძალის განთვითარება.

როდესაც ხალხში ფეხს იკიდებს ის აზრი, რომ მის ტანჯვა-ვაების მთავარი მიზეზია არა პეტრე ან ივანე, არამედ მთელი, განსაზღვრული რეჟიმი (წესწყობილება). აი აქედან იბადება ზნეობრივი ძალა, რომელიც არყევს ძველი მთავრობის ზნეობრივ ავტორიტეტს და ამოძრავებს რევოლიუციის ტალღებს, მაგრამ ცხადია, მარტოოდენ ერთი ბუნდოვანი აზრი რეჟიმის სიავეზე არ შეიძლება გახდეს ხალხის ნაყოფიერ მოქმედების სათავეო. საჭირო არის ხალხმა ისიც კარგათ შეიგნოს, თუ როგორ, რა გზით, რა საშუალებით შეუძლიან მას თავი დააღწიოს ტანჯვა-ვაებას, როგორი დაწესებულებანი, რა წეს-წყობილებაა მისთვის ხელსაყრელი და რა სახით შეიძლება მათი განხორციელება. ყველა ეს საკმაოთ რთული პოლიტიკური აზროვნებაა და მისი ხალხისთვის გადაცემა ითხოვს საკმაო დროსა და ენერგიას.

ბოლოს აღსანიშნავია ერთი გარემოება, რასაც **არა** მცირედი ადგილი უჭირავს საქმის ასეთ თუ ისეთ გადაწყვეტაში და რასაც შეიძლება ვუწოდოთ სოციალური ჰიპნოზი. ეს ისეთი მდგომარეობაა, როცა ხალხს არა სწამს თავისი საკუთარი ძალ-ღონე და ერთობ უძლეველ ბუმბერაზათ წარმოუდგენია თავისი მოწინააღმდეგე. იმ ქვეყანაში, სადაც ხსენებულ მდგომარეობას მტკიცეთ დაუბუდნია, იქ, თითქმის ყოველთვის, განმათავისუფლებელ მოძრაობას იწყებს რაიმე განსაკუთრებული, არაჩვეულებრივი გარეშე მოვლენა, როგორც მ. გ. ომიანობა. საგულისხმოა, რომ ერთი საპატრიოტიზიზი, რისთვისაც ომი გაჩაღდა იაპონიასთან, იყო ბიუროკრატიის სურვილი მთავრობას მოეხდინა ისეთი ძლევა-მოსილების „დემონსტრაცია“, რომელიც რუსეთის ქვეშევრდომს მოუსპობდა ხალისს „სულელურ ოცნობობისათვის“... აღნიშნულ პსიხოლოგიურ მოვლენის ცოდნაზე არის ხოლმე ნაანგარიშევი თითქმის ყველა მთავრობათა მთელი სტრატეგია შინაურ „ომიანობის“ დროს. აქედან მომდინარეობს ხოლმე ძებნა „ძლიერი მთავრობის“, დიქტატურის და საზოგადოთ, ძლიერ და მაგარ ზომების ხმარება „წესიერების“ აღსადგენათ.

სოციალურ ჰიპნოზს ფანტავს, როგორც „გარეშე გავლენიანი“, ის შინაურ ცხოვრების ფაქტები აგრეთვე ის თავგამოდებული უმცირესობა, რომელიც ხელმძღვანელობს მასსას და, რასაკვირველია, თვით ამ უკანასკნელის ცნობიერების მაღლა აწევა. საბოლოო ანგარიშით, აი ეს ცნობიერება, აი ეს ხალხის ასეთი თუ ისეთი ფსიხოლოგია, ე. ი. ზნეობრივი ძალა, რომელიც თავის მხრივ, რასაკვირველია, აღმოცენებულია ცხოვრების რეალურ და ნივთიერ ნიადაგზე, აი ეს არის ყველა სახითხების გადამწყვეტი ძველი რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაშა.

თუ მთავრობამ უკუაქცია ტალღები, ეს იმას არ ნიშნავს, ვითომ მას აღუდგენოს თავისი ზნეობრივი ავტორიტეტი. მთავრობის ზნეობრივი ავტორიტეტი. დასცა იმ ვარემოებამ, რომ ხალხმა ძველი რეჟიმი აუტანელ ბორკილებათ დაინახა და ვიდრე ეს რეჟიმი იბოგინებს, მთავრობაც მოკლებული იქნება ზნეობრივ ავტორიტეტს. ამას ნათლათ ჰმოწმობს პირველ და მეორე დუაის არჩევნები, რამაც ნათელჰყო, რომ რუსეთის იმპერიის დიდი უმრავლესობა ოპოზიციონურია (ძველი მთავრობის მოწინააღმდეგეა) და თუ ხალხი დღეს კიდევ უკუქცეულია, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მისი (ხალხის) ზნეობრივი ძალა ჯერ კიდევ არ ასულა სათანადო სიმაღლემდე. ეს ძალა კი დღითი-დღე იზრდება და მატულობს (ამას მოწმობს თვით მესამე დუმის არჩევნების პირველი სტადიები სუკვე გამოცხადებული შედეგები) და ამ ზრდა-განვითარების გზაზე ხალხის ზნეობრივი ძალა ბუნებრივის აუცილებლობით და საჭიროების მიხედვით უეჭველათ გადაიქცევა ფიზიკურ ძალათ, რომელიც ბრძოლას გაუწევს და განუდრეკელ კვარცხლბეკათ დაედება განახლებულ რუსეთს.

პოლიტიკური მიმოხილვა.

არჩევნების გაუქმება

ბიუროკრატია მორჩილ დუმის შესადგენათ აღარ ფერს ერიდება. ის არ კმარობს საარჩევნო რაიონების მეტის-მეტათ გადიდებას, რის გამოც ამომრჩევლებს საშინლათ გაძნელებული აქვთ არჩევნებზე გამოცხადება, არ კმარობს ამომრჩევლებისათვის თავის დროზე არჩევნების ვადის შეუტყობინებლობას, არ კმარობს ადმინისტრატიულ ძალდატანებას და ტერორს, სადეპუტატო კანდიდატების სიებიდან ამოშლას და დატუსაღება-გადასახლებას, არ კმარობს არჩევნების ყოვლათ შეუფერებელ დროს დანიშვნას, ახლა შემდეგი ღონის-ძიებისთვინაც მიუმართნია: აუქმებს ისეთ არჩევნებს, რომლებშიაც ოპოზიციის კანდიდატები გავიდენ. ამის მაგალითებს წაიკითხავს მკითხველი ქვემოთ, „საარჩევნო კამპანიაში“. გაუქმებულ არჩევნების მაგივრათ დანიშნავს თუ არა ადმინისტრაცია ხელმეორე არჩევნებს, ეს, ზოგიერთ შემთხვევაში მაინც, ძალიან საეჭვოა. ამის მაგალითი უკვე გვქონდა მეორე დუმის არჩევნების დროს: სწორეთ ხელმეორე არჩევნების დაუნიშვნელობის მეოხებით ხერსონის გუბერნიის დიდმა ქალაქებმა დაკარგეს თავიანთი წარმომადგენლობა. თუ არჩევნების გაუქმების საქმეში მთავრობამ გულმოდგინეთ განაგრძო „მუშაობა“, ეჭვი არ არის თვალსაჩინოთ მიაღწევს მიზანს—ბლომათ ჩამოაშორებს მესამე დუმას სახიფათო დეპუტატებს. თუ ა გზით ბოლომდე იარა ბიუროკრატიამ, იქნებ იმასაც მოვესწრათ, რომ უკვე არჩეული პროგრესიული დეპუტატი სულაც არ შეუშვას დუმაში. რუსეთის იმპერიაში ასეთი ამბავი არავის გაუკვირდება. მთავრობის მომხრე გაზეთები აკიდღეს სწორეთ იმას ურჩევენ მთავრობას, რომ „რევოლიუციონერი“ დეპუტატები არ გააჭაჭანოს დუმაში?! საბუთი გვაქვს იმედი ვიქონიოთ, რომ ბიუროკრატია დაიჯერებს ასეთ რჩევას; ეს საბუთია მთავრობის გადაწყვეტილება გამოერეკა მეორე დუმიდან მთელი სოც.-დემოკ. ფრაქცია. ასეთი საშვალებით მთავრობას შეუძლიან შეადგინოს თავის თავის სასურველი დუმა, მაგრამ ეს დუმა არჩეული იქნება არა ხალხის მიერ, არამედ ბიუროკრატიის მიერ. რას უზამ? სანამ ბიუროკრატიას ხელთ აქვს მეტი რეალური ძალა, მანამ მას „ყველაფერი“ შეუძლია ჩაიდინოს. მაგრამ სწორეთ ასეთი „ყველაფრის ჩადენა“ დღითი-დღე ძირს გამოუთხრის მის რეალურ ძალას, რადგან სულ უფრო მეტ ხალხს აუხსნის თვალებს თავის სიგრძე-სიგანის დასანახავათ: ბიუროკრატიის რეალურ ძალის საფუძველი კი ხომ სწორეთ ხალხის ფართე მასსის თვალების აუხსნელობაა?!

მიწათ-მომწყობ კომისიების აღსარება.

მიწათ-მოქმედების მთავარ-სამმართველოს მეტათ საყურადღებო ცნობები მიუღია ადგილობრივ მიწათ-მომწყობ კომისიებისაგან მათი მოქმედების თანდათანი და განუწყვეტელი შესუსტების შესახებ. ჯერ კიდევ გაზაფხულიდან შევნიშნეთო, იწერებიან „კომისიებიდან, რომ სახელმწიფო დუმის არჩევნების მოახლოვების და მისი მოწვევის მომენტიდან, გლეხები თანდათან ხელს იღებენ საგლეხო ბანკთან „ყოველგვარ ხელშეკრულობაზეო. ჯერ კიდევ გაზაფხულზე გამოირკვა, რომ გლეხები არღვევდენ ისეთ ხელშეკრულობას მიწის ყიდვის შესახებ, რომელიც ის-ის იყო უნდა მომხდარიყოვო. შარშან ამას ვაბრალებდით მთავრობის მოწინააღმდეგე პარტიების აგიტაციას და ყოველგვარ გარეშე გავლენასაო. ამ ჟამათ არავითარი აგიტაცია არ არსებობს, გლეხები გულგრილათ ეკიდებიან დუმას, არ მოელიან მისგან „მიწის მომატებას“, და ამის მიუხედავათ, გლეხებს არ ემჩნევათ სურვილი შეიძინონ მიწები საგლეხო ბანკისაგან მიწათ-მომწყობ კომისიის შემწეობითო. ზაფხულში, დუმის დათხოვნის შემდეგ ერთხანათ თითქო გაძლიერდა ამ დაწესებულებათა მოქმედება, მაგრამ აგვისტოდან ისევ შესუსტება იწყო და ამას სულ უფრო პროგრესიულათ განაგრძობსო. ამის მიზეზათ კომისიებს ის კი არ მიაჩნიათ, რომ გლეხები გაღარიბდენ და მიწის დასამუშავებელი საშუალებანი აღარ გააჩნიათ, არამედ ის, რომ გლეხებს აღარ სწამთ მიწათ-მომწყობ კომისიების მუშაობა, როგორც აღარ სწამთ აღარც საგლეხო ბანკის მოქმედება.

აი, ასეთი გულახდილობა სწორეთ რომ მოსაწონია! ან კი როდემდის უნდა ემალა ბიუროკრატიას თავისი „აგრარული პოლიტიკის“ სრული სიკოტრე? ეს ხომ ისეთი აშკარა „ჭირია“, რომელსაც ვერას გზით თავს ვერ დაამალვინებს?! მთავრობის „აგრარული პოლიტიკა“ თავიდანვე თვითვე აშკარათ ღალადებდა თავის უნიადაგობას. ამაზე უთითებდა მთავრობას ყველა, ვინც კი ცოტათ თუ ბევრათ ჩახედული იყო საქმეში. მთავრობა კი, სტოლიპინის პირით, რიხიანათ გვარწმუნებდა, ჩემი აგრარული პოლიტიკა გაამდიერებს გლეხებსაო. დღეს მთავრობას თვით მის აგრარულ პოლიტიკის გამტარებელი ორგანოები—მიწათ-მომწყობი კომისიები და საგლეხო ბანკი, ხმა-მაღლა შეღალადებენ მას: ტყუილათ ვცდილობთ, ასეთ აგრარულ პოლიტიკიდან არა გამოვარეო; სწორეთ იმ გლეხებმა, რომლების გასაბედნიერებლათაც ჩვენ მოგვავლინე, არ გვიწამეს, და ამის მიზეზი არაა ის, რომ ბოროტ-გამზრახველი კრამოლნიკები ჩვენს წინააღმდეგ აგიტაციას ეწევიანო. მაშ რა არის მიზეზი? ამ კითხვაზე კომისიები პასუხს არ იძლე-

ვიან, მაგრამ ეს პასუხი თავის-თავათ ცხადია: გლეხებს იმიტომ აღარ სწამთ მიწათმომწყობი კომისიები და საგლეხო ბანკი, რომ ესენი მათ სრულიად არ აძლევენ და ვერც მისცემენ იმას, რაც მათ ასე გამწვავებით ესაჭიროებათ,—არ აძლევენ სახელმწიფო მიწას, ისინი მიწის შეძენას უადვილებენ მხოლოდ თითო-ოროლა გლეხს, რომლებსაც მიწის საყიდლათ ფული ეშოვებათ. ამიტომ კომისიების ის აზრი, რომ მათი მოქმედების დასუსტების მიზეზი არ არის გლეხების სიღარიბე და მიწის დასამუშავებელ საშვალების უქონლობა, ეს აზრი სრულიად არ შეფერება სინამდვილეს და ამ მხრივ კი კომისიები ღალატობენ თავის საქმეურ გულახდილობას.

როგორ ირღვევა „რუსის ხალხის კავშირი“.

ჟურნალ „სოვრემენნი მირში“ მოყვანილია საყურადღებო ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ ირღვევა „რუსის ხალხის კავშირი“. ამ „კავშირში“ სულ უფრო მწვავდება თურმე შეხლა-შეჯახება, რომელსაც უმთავრესათ იწვევს კავშირის წევრთა დაყოფა „შავძვლიანებათ“ და „თეთრ ძვლიანებათ“: მეთაურებათ, რომლებიც კავშირის წევრებს რაღაც მათთვის გამოუცნობელ მიზნისაკენ მიერეკებიან, და უბრალო მაჩანჩალებათ, რომლების **შეგნება თანდათან გაშუქებას იწყებს.** ეს უკანასკნელი გარემოება უნაყოფოთ არ რჩება: „კავშირის-მიერ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩათრეული მეშჩანები გაურბიან მას საკუთარ ორგანიზაციის დასაარსებლათ, ან სხვა პარტიასთან შესაერთებლათ, ყოველ შემთხვევაში—მარცხნივ გადასახრელათ. მეტათ გამწვავებული კონფლიქტებია კავშირის მრავალ განყოფილებაში. ყველგან ბრძოლა წარმოებს დაბალ წევრების **დემოკრატიულ მოთხოვნების** ნიადაგზე. ასეთ მდგომარეობაშია დღეს ბიუროკრატის მთავარი საზოგადოებრივი ბურჯი. თვით ამ ბურჯის მთავარ საფუძველს შეადგენს ხალხის შეუგნებელი ბრბო, მისი უმეცრება, და რადგან ცხოვრების მოღალადე ფაქტები ამ ბრბოს სულ უფრო უფანტავს უმეცრების ბურუსს, სულ უფრო შუქს ფენს მის შეგნებას, ამის გამო დღითი დღე ირღვევა „მთავარ ბურჯის“ მთავარი საფუძველი, მით დღითი დღე ირღვევა თვით ბურჯი და მასთან ერთათ ძირი ეთხრება ბიუროკრატიასაც. თავის თავათ ცხადია, თუ რამდენათ მართალნი არიან ისინი, რომლებიც ყველა შავრაზმელებს გაუსწორებელ უკულმართებათ რაცხენ და სამუდამოთ მტრულათ ზურგს აქცევენ მათ,—იმის მაგივრათ, რომ ცდილობდენ „ძმური“ გავლენა იქონიონ მათზე და დაჩქარონ მათი გაწალმართების პროცესი, რომელიც უეჭველათ წარმოებს.

ახალი ამბები

წინასწარი საარჩევნო კრება. დღეს, საღამოს 4 საათზე, ზუბალოვის სახალხო სახლში დანიშნულია საარჩევნო კრება რუსთა კურიის ამომრჩევლებისა.

✦ **კრება არ შესდგა.** ქალაქის ხმოსნების კრება კიდევ არ შესდგა, წევრთა კანონიერი რიცხვის მოუსვლელობის გამო. ამნაირათ, ის აუცილებელი კითხვები, რომლებიც დღესვე თხოულობენ გადაჭრას, როგორც მაგ. პურის გაძკირების შესახებ და სხვ. ქალ. გამგეობის შკაფში ინახება.

✦ **გაზეთების აკრძალვა.** როგორც სამტრედიიდან გვატყობინებენ: ადგილობრივი ადმინისტრაცია კრძალავს ნებადართულ გაზეთების გაყიდვას, რა მოსაზრებით, ეს ალახმა უწყეს. გაზეთის ერთი გამყიდველი ამას წინეთ კიდევაც დაუპატიმრებიათ.

✦ **არჩევნები.** როგორც გადმოგვცეს, ფედერალისტები და პროგრესისტები შეერთებულათ აპირებენ კანდიდატების წამოყენებას სახელმწიფო საბჭოში დეპუტატის ასარჩევათ.

✦ **კრება.** 27 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დარბაზში მოხდება კრება სომხურ სახალხო უნივერსიტეტის სექციისა.

✦ **დამატებითი ცნობა.** გუშინდელ № 17-ში გვქონდა მოხსენებული, რა უბედურება დაატყდათ თავს თელავიდან მომავალ მგზავრებს ნავთლუხში რკინის გზის გადასავალზე; ახლა მოგვყავს გვარი და სახელი იმ მგზავრებისა. მძიმეთ დაშავდენ: მწერალი კარაშვილი, ავეტიქ დჯულაევი, ოლგა ბაგინოვა (ეგრძნობელ მდგომარეობაშია), იოსებ სტეფანოვი, რუსია აბაზაშვილი, მეეტლე მოსე ედილოვი, სტუდენტი ალექსანდრე ხითაროვი და ორიც ბავშვი ბაგინოვისა, რომლებმაც მიიღეს მცირე დაშავება. დაშავებულები მოუთავსებიათ თფილისის რკინის გზის საავათმყოფოში.

✦ **ქალ. გამგეობის წინადადება.** ქალაქის გამგეობის წინადადება მიუცია ტრამვაის უსახელო საზოგადოების გამგეობისთვის, ხელმორეთ შეიმუშაოს პროექტი ნაძალადევში ელექტრონის კონკის გზის გაყვანის შესახებ. გამგეობა მასთან მოაგონებს, რომ ლიანდაგი ორ წყებათ იყოს გაყვანილი და არა ერთ, როგორაც უსახელო საზოგადოების პირველ პროექტში არის ნაჩვენები.

✦ **ხატისოვის წინადადება.** ქალაქის გამგეობის წევრი ა. ი. ხატისოვი წინადადებას აძლევს ქალაქის ტეხნიკებს და მიწათმზომელებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ, რათა გამგეობის ნებადაუთველათ სახლი არავინ არ ააშენოს.

✦ **უხვი შემოწირულება.** როგორც გადმოგვცეს ზუბალაშვილის მემკვიდრეებს ქალ. თვითმართველობისათვის შეუწირავთ 100,000 მან. იმ პირობით, რომ ამ ფულით მათსავე სახელობაზე თფილისში დაარსებულ იქნას ბოგშია საავათმყოფო.

✦ **ავჭალის ლიანდაგის შეერთების შესახებ.** როგორც მკითხველებმა იციან, დიდი ხანია, რაც გადაწყვეტილია ავჭალის გზაზე ელექტრონის ტრამვაის მიმოსვლა იქნეს შემოღებული. ახლა დავა ქალაქს გამგეობასა და უსახელო საზოგადოებს შორის იმაში მდგომარეობს, სად მოხდეს შეერთება ავჭალის ლიანდაგისა ვორონცოვთან თუ ვაგზლის წინ. ქალ. გამგეობა წინადადებას აძლევს ტრამვაის დირექტორს ასეთი შეერთება მოხდეს ვაგზლის წინ.

✦ **თფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი:** სახლის პატრონი ილ. სიხარულიძე ანტონოვის ქუჩაზე დაპატიმრებულ იქნა ციხეში ჯდომით ერთი თვით, რადგან არ გადაიხადა 25 მან. ჯარიმა, რომელიც მასზე შეწერილი იყო.—დავით ბარათოვი სავილდებულო დადგენილების დარღვევისათვის იარაღის შესახებ, დაპატიმრებულ იქნა 1 თვით ციხეში ჯდომით, შემდეგ იგზავნება თფილისიდან სამხედრო წესების მოხსნამდე.—დუშეთის მცხოვრებ ალ. ზანაიძეს, სოფ. არტიკის მცხოვრებს სუმბ. კაჩაროვს და დუშეთის მაზრის სოფ. გეზეთის მცხოვრებს გიგო ჩოხელს, როგორც საზოგადებისათვის მავნე პირთ, აეკრძალათ ცხოვრება თფილისის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე.—სპარსეთის ქვეშევრდომი მოსე მალხაზიანცი პოლიციის კანონიერ მოთხოვნილების შეუსრულებლობის გამო და როგორც მავნე პირი საზოგადოებისათვის, დაპატიმრებულ იქნა ციხეში 2 თვის ვადით, შემდეგ იგზავნება თფილისის გუბ. საზღვრებიდან სამხ. წეს. მოხსნამდე.—თფილისის სახლის პატრონები: დიმიტრი გოგიევი, ოლგინის ქუჩაზე № 20., ბეკთაბეგოვი ყორგანოვის ქუჩაზე № 16, ასლან არღუთინსკი ვერის საეკლესიო პერეულკაზე № 25., არღუთინსკი ანასტასიევის ქუჩ. № 16, კიარიანოვის ოლგინის პერეულკაზე № 8, ნიკოლაიშვილი ვერის დალმართზე კურცხალია შეშის საწყობის პატრონი № 10, ფანრების უქონლობის გამო დაჯარიმებულ იქმნენ თითო 25 მან.

✦ **დახმარების თხოვნა.** გუშინ ჩვენს რედაქციაში შემოვიდა ერთი დამბლათ დაცემული კაცი—ალექსანდრე ნიკ. სუჯაევი, რომელიც დახმარებას სთხოვს საზოგადოებას. საცოდავი უკიდურეს გაჭირვებას განიცდის თურმე. სთხოვს საზოგადოებას შემდეგი იდრესით მიაწოდონ თავიანთი წვლილი: თფილისი. ვაგზლის ქუჩა, სახლი № 15.

✦ 23 სექტემბერს პოლიციას შეუპყრია მე 10 საპოლიციო უბანში თერგის ოლქის მცხოვრები გიორგი ბაკაევი, რომელიც ქუთაისის, დიდუბის და შერემეტიევის ქუჩებზე ფურცლებს აკრავდა კედლებზე. გაჩხრეკის დროს სახლში არალეგალური ბროშიურები და მიწერ-მოწერის ბარათები აღმოაჩნდა.

✦ 23 სექტემბერს, მიხეილ გიგაშვილის ყაზახანაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, № 1, პოლიციამ გაჩხრეკის დროს აღმოაჩინა ერთი ფუთი შრიფტი რუსული ასოებისა.

✦ 23 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, ევგენი ჭელიძის დუქანში, კარუსელის დაღმართზე 1-ლ საპ. უბანში № 35, შესულა ხუთი შეიარაღებული ბოროტ-გამზრახველი და მუქარით გაუტაცნიათ კასიდან 17 მან. და მიმალულახ.

✦ 23 სექტემბერ შეიპყრო პოლიციამ ოსმალეთის ქვეშევრდომი მამუკ მურადოვი, რომელიც პესკის ქუჩაზე შესულა ტერ-დავიდოვის სახლში (№ 7) სამზარეულოში ორი თუჯის ქვაბის გამოსატაცებლათ.

შეცდომის გასწორება. ჩვენი გაზეთის 17 №-ის „პოლიტიკურ მიმოხილვაში“ მეთვრამეტე სტრიქონიდან სრულიად ზედმეტია შემდეგი სიტყვები: „და ამიტომ არც ის გაკვირვებია, რომ თავიდან აშორებულ წეუულ“ შემდეგ—კამარჩენილია სიტყვა: „ბიურაკრატიას“.

რუსეთის პრესა

მოსალოდნელი ცენტრი მესამე დუმაში.

ამ დღეებში გაზ. „ჩას“-მა გამოაქვეყნა ცნობილ მემარცხენე კადეტის მანდელშტამის შემდეგი განცხადება:

„სახალხო თავისუფლებისა და ოქტომბრისტებისაგან შემდგარი „საკონსტიტუციო ცენტრი“ მავნებელი ილიუზიაა. სახალხო თავისუფლების პარტია უნდა იყოს დემოკრატიული პარტია, მაშინ, როდესაც ოქტომბრისტები არიან პრივილეგიებით აღჭურვილ კლასების წარმომადგენელნი. მაშასადამე, ამ ვვარ პარტიებისაგან რომ შესაძლებელი გახდეს ერთი ცენტრის შედგენა, საჭირო იქნება ერთ ერთმა პარტიამ უარყოს თავისი საფუძველი“.

და რადგან ამას არ იზამს არც ერთი ხსენებული პარტია, მათგან „საკონსტიტუციო ცენტრის“ შედგენაც შეუძლებელიაო. ამ განცხადებას „ტოვარიშჩი“ ასეთ კომენტარიებს უკეთებს:

„საქმეს გადასწყვეტავს, რასაკვირველია, ის გარემოება, თუ რა განწყობილებას დაიჭერს მთავრობა დუმასთან, უკეთუ იგი ბოლოს მაინც დაადგება დუმასთან ერთათ საკანონმდებლო მუშაობას, მაშინ კადეტების შეერთება ოქტომბრისტებთან აუცილებელი ფაქტი იქნება, და ისიც, ოპოზიციის საერთო მიზნებით ნაკარნახევი, და თუ ამ შეერთებას წინააღუდგებოდენ მემარცხენე ფლანგის კადეტები (მანდელშტამის ფრაქცია) მით დაამტკიცებდენ, რომ მათ ძალიან ცუდათ ესმით ოპოზიციის მიზნები (დანიშნულება)“.

კადეტები რომ აღნიშნულ პირობებში უსათუოთ დაადგებიან ოქტომბრისტებთან მორიგება-შეერთების გზას, ეს ჩვენთვის სრულიად ეჭვს გარეშეა. მარა აქსაგულისხმოა „ტოვარიშჩის“ პოზიცია. ამ რადიკალურ გაზეთს მავნებლათ მიაჩნია, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ვინმემ ხელი შეუშალოს კადეტების მარჯვნით დაქანებას. ამით გაზეთი ნათლათ გვიჩვენებს, რომ ყველა პროგრესიულ ბურჟუაზიულ პარტიების ბუნებრივი სტიქია არის მარჯვნით მიდრეკილება, და რომ მათ წინ არ ედგობებოდეს სოციალისტური ოპოზიცია, ისინი ერთობ დიდ წყალს მიუშვებდენ რეაქციის წისქვილებზე.

პარტიების ცხოვრებიდან

ლატაშოვ სოც.-დემ.“ მუშათა პარტიის სოფლის მომუშავეთა კონფერენციაზე მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ანარქიული მოძრაობა, რომელიც შარშან იყო, ამ ჟამათ დაცხრა. მრავალ სოფლებში გაჩნდა სხვა და სხვა გვარი ლეგალური საგლეხო საზოგადოებანი, რომლებშიაც მონაწილეობას იღებენ აგრეთვე პარტიის წევრნი. საარჩევნო კამპანია საკმაოთ სუსტათ წარმოებს. კონფერენციამ დაადგინა კანდიდატების სასარგებლოთ გაწეულ იქნას აგიტაცია ზეპირათ და არა წერილობით, რომ პოლიციას შეძლება არ მიეცეს ასეთ პირთა დასაჭერათ. მიღებულ იქნა ამასთან, რომ საგუბერნიო კრებაში მონაწილეობაზე გლეხებმა უარი უნდა განაცხადონ, თუ ნემეც მემამულეებმა მოისურვეს რეაქციონერ დეპუტატის გაყვანა გლეხთა კურიიდან.

17 **ოქტომბრის კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა** დაადგინა თანაგრძნობა გამოუცხადონ კადეტთა პარტიას იმის გამო, რომ მას ნება არ დართეს საარჩევნო კრების გამართვაზე პეტერბურგში.

შრომის ჯგუფმა გამოსცა გლეხთა ყველა რწმუნებულების მიმართ მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია, რომ ღირსეულ წარმომადგენელთა ასარჩევათ აუცილებლათ საჭიროა: 1) არ აყვენ იმ თავმოყვარულ სურვილს, რომ თვითონ მოხვდენ დუმაში, 2) არ აყვენ არც იმ სურვილს, რომ თითოეულ მაზრას თავისი წარმომადგენელი ყავდეს, 3) მთელი მაზრის რწმუნებულები შეიკრიბონ ორი-სამი დღით ადრე არჩევნების წინ, რომ ერთმანეთი უკეთ გაიცნონ და საუკეთესო ვიბორშჩიკები დაასახელონ. ვიბორშჩიკებს რწმუნებულებმა უნდა ის დაპირება ჩამოართვან, რომ დუმის დეპუტატებს გლეხთა ვიბორშჩიკებიდან აირჩევენ. საგუბერნიო-საარჩევნო კრებებზე გლეხთა ვიბორშჩიკებმა უნდა დაასახელონ ერთი, ყველაზე უფრო ღირსეული, კანდიდატი, ყველა დანარჩენებმა კი გადაჭრით უარი უნდა განაცხადონ თავის კანდიდატურაზე. თუ საგუბერნიო საარჩევნო კრებები არ დათანხმდებიან გლეხების მიერ დასახელებულ კანდიდატის არჩევაზე, მაშინ გლეხებმა სრულიად უარი უნდა თქვან არჩევნებზე და წავიდენ კრებიდან. საჭიროთ მიგვაჩნია გავახსენოთ მკითხველს, რომ კანონის ძალით შიდა რუსეთში თითოეულ გუბერნიიდან უეჭველათ არჩეულ უნდა იქნას ცალკე დეპუტატი გლეხთა კურიიდან; აქამდე თავის დეპუტატს მარტო გლეხების ვიბორშჩიკები ირჩევდენ ცალკე; ახალი კანონის ძალით კი გლეხთაგან დეპუტატს ირჩევენ ყველა საგუბერნიო ვიბორშჩიკები ერთათ; ამასთან თითქმის ყველგან მომატებულია არა გლეხთა ვიბორშჩიკების რიცხვი, და მოკლებულია გლეხთა ვიბორშჩიკების რაოდენობა, ასე-რომ თუ საგლეხო ვიბორშჩიკებს ერთი პირი არ ეყნათ, სხვა ვიბორშჩიკებს შეუძლიათ ყველაზე უფრო უხეირო საგლეხო ვიბორშჩიკი აირჩიონ გლეხთა დეპუტატათ.

მუშათა შორის

იარალოვის ქარხანა. ამს წინათ გაზ. „ჩვენი სიტყვა“-ში ვწერდი, რომ იარალოვის ქარხანაში შესდგა ერთი ჯგუფი მუშებისა, რომლებმაც ქარხნის გამგის წინადადება მიიღეს და „ნაჭრობით“ მუშაობაზე თანხმობა განაცხადეს-მეთქი. მიუხედავათ იმისა, რომ ასეთი მუშაობა პირდაპირ ღალატია მუშათა ინტერესების, ისინი მაინც ეწოდენ „პროპაგანდას“ მუშათა მასსაში, რომ ასეთი მუშაობა სასარგებლო და ნაყოფიერი არისო. და ყველა ამის გამო, რადგან მრავალი მითქმა-მოთქმა გაბშირდა და საქმეებიც აიწყო დაიწყო, იძულებული შევიქენით, ქარხნის კომისიის წინადადებით შევკრებილიყავით ყველა და მუშები, დაგვედგინა: ვინაიდან „ნაჭრობით“ მუშაობა მავნებელია მუშათა კლასისათვის, ეკრძალება ყველა ჩვენთანეს ასეთი მუშაობა, მაგრამ ზემოხსენებულმა ჯგუფმა გადაჭრა თავზე ყველა მუშებს და მოითხოვა, თუ ყველა არ იმუშავებდა, კერძოთ მათ მაინც ემუშავათ, რაიც სიხარულით დაკმაყოფილა ქარხნის გამგე ბ-ნმა დავიდოვსკიმ. აღნიშნული ჯგუფი ექვსი კაცისაგან შესდგება.

ქარხნის კომისიამ რამდენიმეჯერ მისცა გაფრთხილება, რომ თავი დაენებებიათ ნაჭრობით მუშაობისთვის, მაგრამ ისინი მაინც თავისას არ იშლიდენ და განაგრძობდენ მუშაობას, რისთვისაც თვით მუშებში ნაჭრობით მუშაობის მოწინააღმდეგეთა და მომხრეთა შორის შეტაკებაც კი მოხდებოდა, რომ საქმეს ადრე არ შველოდა.

როცა კომისია მათთან ვერას გახდა და დამოკიდებულება მუშებს შორის დღითი-დღე გაწყვეტდა, შეკრიბა მუშები 19 სექტემბერს, გააცნო საქმის მდგომარეობა და სცნეს რა მუშებმა მათი საქციელი მიუტეველ დანაშაულათ საჭიროთ სცნეს მათი დასჯა, რისთვისაც არჩეულ იქნა 5 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც უნდა გამოემუშავებია პროექტი სასჯელისა და წარედგინა მუშებისთვის.

21 სექტემბერს, შეიკრიბენ მუშები წარმოდგენილ იქნა რეზოლიუციის 3 პროექტი:

1 პროექტი: რადგანაც ამ 6 კაცმა უღალატა მუშათა პრინციპს და ურცხვათ დაარღვია მთელი მუშების დადგენილება და არც ყურადღება მიაქცია საქარხნო კომისიის რამდენიმე სამართლიან გაფრთხილებას, ამიტომ აეკრძალა რა დღეიდან ნაჭრობით მუშაობა,—ჩამოერთვას დღიურ ჯამაგირზე მეტი აღებული ფული, რომელიც ნაჭრობითი მუშაობის ნაყოფია და გადაეცეს უმუშევრათ დარჩენილებს; აგრეთვე დაისჯონ თითო კვირის გაცდენით საძალოთ.

2 პროექტი: მოიხადონ ბოდიში მუშების წინაშე და ეიმეორონ მეტეანეა, ხოლო ბოლოტინს, როგორც მეორეს შენიშნულს ასეთ საქმეში გამოეცხადოს სასტიკი ამხანაგური გაკიცხვა.

3 პროექტი: გაკრულ იქნას სამი დღის განმავლობაში ქარხნის თვალსაჩინო ალაგზე განცხადება, სადაც აღნუსხული იქნება მთელი მათი მოქმედება და ძირს თვითონვე მოაწერენ ხელს, რომ ბოდიშს იხდიან.

მიღებულ იქნა უმრავლესობისგან 1 პროექტი რეზოლიუციისა, იმ დამატებით, რომ მათ ალაგზე, როცა ისინი სამუშაოდან თითო კვირით დათხოვნილები იქნებიან, იმუშაოს ერთმა უსაქმოთ დარჩენილმა.

მუშა არჩილა

ძანსულის ქარხნები. 15 სექტემბერს ადგილობრივმა პოლიციამ ძანსულის ქარხნის უმთავრეს კანტორის კარებს გამოაკრა მესამე დუმის საარჩევნო „აფიშა“. კანტორის კარებს ალბათ იმიტომ, რომ იქ მუშათაგან არავინ დადის. მუშებს წინდაწინ არჩევნების შესახებ არავითარი ცნობა არ ჰქონებიათ და ამ დღეს ჩვეულებისამებრ ყველანი სამუშაოთ იყვენ გასული. განცხადებას მოჰყვა ჯინჯილოსანთა ამოძრავება, რომელშიაც თვალ-საჩინო როლს ასრულებდა ქარხნების ადმინისტრაციისაგან დაქირავებული ბოქაული. ეს ვაჟბატონი ამ დღეს დაწრწოდა ქარხნების არ-ემარეში, მაგრამ მიზეზი მის არა ჩვეულებრივ ბზრიალ-ტრიალისა მუშებმა მხოლოდ შუადღეზე გაიგეს.

დაჰკრა 12-მა საათმა, ააყვირეს საყვირი და გამურული მუშები მსწრაფლ გაეშურენ სასადილოებისაკენ. ამ დროს გამოჩნდა „ბოქაული“ თავის ჩაფრებით, გადაეღობა მუშებს და მიმართა: „Рабочіе пообѣдайте моментально, такъ какъ сегодня до трехъ часовъ мы должны производить выборы“-ო. ამასთანავე ამოიღო ჯიბიდან ქაღალდი და წაიკითხა: „ამ ქარხნებში ორი ათასზე მეტი მუშა ყოფილა, ამათში საარჩევნო ხმის უფლება მხოლოდ 65 მუშას აქვთ. ქარხნის ადმინისტრაციის ცნობებით ამ დარჩენილ 65 მუშათაგან საარჩევნო სიის შედგენის შემდეგ „დაუთხოვიათ“ 18, ასე რომ, არჩევნები უნდა მოხდეს მხოლოდ 47 მუშებშიო“. ამ სიტყვებმა მუშებს სადილი სრულიად დაავიწყა, ბრაზ-მორეული ეკითხებოდენ ბოქაულს, თუ რისთვის წინდაწინვე არ ჰქონდათ ცნობა არჩევნების შესახებ და ან როგორ შეიძლებოდა სამ საათამდი ამოდენა საქმის რიგიანებრ ასრულება, რადგან „დაბლა ქარხნის“ მუშათაგან არავინ ყოფილა სიაში აღნიშნული. „დაბლა ქარხანას“ ეძახიან, მკითხველო, იმას, სადაც ადნობენ დაფქვეულ მადანს მაღაროების ახლო ამართულ ქარხნებიდან, ხუთი ვერსის მანძილზე ჩატანილს. იქ მუშაობს 500-მდე მუშა და მართლაც, როცა ბოქაულმა ხსენებულ ორმოცდა შვიდი პირის სია წაიკითხა, ამ ხუთას მუშათაგან ერთიც არ ყოფილა მოხსენებული. მათ გამორიცხვას ბოქაული იმით ასაბუთებდა რომ თითქოს იმათთვინ ეცნობებია წინდაწინვე საარჩევნო მზადება, მაგრამ მუშები ეარზე დამდგარიყვენ, არ გვინდა არჩევნებიო. ეს რასაკვირველია, „მაღლა“ მუშებმა არ დაიჯერეს და მოინდომეს მუშების სახელით მათი გაფრთხილება, მაგრამ ბოქაულმა ამის ნება არ დართო და ამგვარათ მუშები მოიცო ორჭოფ მდგომარეობამ. ბევრი ემუდარენ ბოქაულს, მოგვეცით ცოტა დროებათ გასაფთხილებლათ, მაგრამ უკანასკნელი მტკიცეთ ადგა თავის გადაწყვეტილებას. ბოლოს საქმე იმით გათავდა, რომ სიაში აღნიშნულებმაც უარი განაცხადეს არჩევნებზე, თუ დარჩენილ მუშებთან მოლაპარაკების ნებას და დროს არ მისცემდენ. ბოქაულსაც ეს უნდოდა. გიგო რა მუშებისაგან უკანასკნელი აზრი, სიამოვნების ღიმილმა გადაურბინა ტუჩებზე, შემოახტა ცხენს და ნიშნათ გამარჯვებისა ჩაბულბულა: „Слава Богу кончились выборы“-ო. ამ სიტყვის შემდეგ ბოქაული თავის გზას გაუდგა, ხოლო მუშები დარჩენ გულდაწყვეტილნი. ასეთი გახლდათ ძანსულის ქარხნის მუშათა არჩევნები. იმედია, მუშები კარგათ დაიხსომებენ ამ საუცხოვო მაგალითს.

ნინოშვილისტი.

საარჩევნო კამპანია.

— ვორონეჟში რკინის გზის დეპოს მუშათა არჩევნებზე ასეთი კურიოზი მოხდა. მუშებს უნდოდათ ბოიკოტი გამოეცხადებინათ არჩევნებისათვის, მაგრამ უფროსებმა მოახერხეს მოეწვიათ რამდენიმე მუშა და მათ აარჩევინეს ორი შავრაზმელი. ერთ ამ უკანასკნელთაგანს დუმინს ისე შეეშინდა თავის არჩევის, რომ შეემუდარა თავის ამხანაგებს—გამათავისუფლეთო, შეიბრალეთ ჩემი ცოლ-შვილიო, მაგრამ ხვეწნა-მუდარამ ვერ გასჭრა. მაშინ დუმინმა გადაჭრით უარი განაცხადა თავის არჩევაზე.

— კიშინიოვში შავრაზმელები აშინებენ ამომრჩევლებს და მუქარით ძალას ატანენ მათს კანდიდატებს მისცენ ხმა. შავრაზმელები უკვე ესხმიან თავზე მშვიდობიან მოქალაქეებს. ერთ დაზარალებულთაგანს პოლიციამ საჩივარზე ასე უპასუხა: დაიჭირე მსროლელი და „უჩასტკაში“ მომგვარეო.

— კადეტთა პარტიას გამოურკვევია, რომ პეტერბურგის მაზრის მსხვილ მემამულეთა კურიაში პროგრესისტების გამარჯვება სავსებით უზრუნველყოფილია.

— სარატოვის გუბერნიაში მუშათაგან რწმუნებულათ არჩეულ იქნა მეორე დუმის ყოფილი დეპუტატი, სოც.-დემ. ფრაქციის წევრი—ლოპატინი, რომელსაც მთელ ფრაქციასთან ერთათ შეთქმულება ჩრალდება ხელმწიფის წინააღმდეგ.

— სარატოვის მაზრის საარჩევნო კომისიამ გააუქმა სინენსკის ვოლოსტის გლეხთა რწმუნებულების არჩევნები, რომელთა შორის იყვენ მეორე დუმის ყოფილი წევრები სოც.-რევ. რეხინი და ხვოროსტუხინი.

— იაროსლავის მაზრაში წვრილ მემამულეთა არჩევნები არ შესდგა იმიტომ, რომ თავმჯდომარეს — თავად-აზნაურთა წინამძღოლს ეგორაკიდან მატარებელზე დაგვიანებოდა!

— სარატოვის ცხრა წარმოებაში მუშათა რწმუნებულებათ არჩეულ იქნა: 4 სოც.-დ. ერთი შრომის ჯგუფელი. 5 უპარტიო, დანარჩენ ათ წარმოებაში არჩევნები არ შესდგა მუშათაგან უარის განცხადების გამო.

— ბოლაშავის მაზრის რვა ვოლოსტში გუბერნატორმა არჩევნები გააუქმა.

გურიის ქრონიკა

— 17 სექტემბერს, სოფ. ასკანაში დაიჭირეს ვილაც გრეკოვი, რომელიც გამოტყდა პოლიციის წინაშე, რომ ის არის მძარცველი და ეკუთვნის „ანარქისტების პარტიას“. ამავე დღეს დაიჭირეს კაზაკებმა ასკანაში გზათ მიმავალი კატორგიდან გამოქცეული ვ. თავაძე; ს. ბახვში დაიჭირეს ორი კაცი, ხმებია, ვითომ ეს ორი კაცი ი. ჯაჯავაძის მკვლელობაში მონაწილეობას იღებდენო, ქ. ოზურგეთში ამ რამოდენიმე დღის წინათ ქუჩაში დაიჭირეს კალატოზიშვილი და სამი სხვა.

— 19 სექტემბერს მოვიდა ოზურგეთში კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე. დაათვალიერა ჯარის სადგომები, დაიბარა საზოგადოება. ხალხმა დეპუტაცია მიუგზავნა და აცნობა: თუ ადგილობრივ მაზრის უფროსს არ გადაიყვანთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ დავსცლით ქალაქსო.

— 18 სექტ. ქ. ოზურგეთში მოხდა საოცარი ამბავი. მღვდელმა იესე ინგოროყვამ დაიწვა თავისი თავი. ასე იქნებოდა შუა დღე, როდესაც ის სახლში მიისულა, საბანზე, ბალიშზე, ტანზე და თავზე ნავთი გადაუსხამს, დაწოლილა და ცეცხლი მოუკიდებია. ამ დროს ქალი შემოვარდნილა და დაუყვირია, რას შვრები ხომ არ გადაირიეო, ვერ ხედავ დედაკაცო სიცოცხლე რომ არ ღირსო, წამოუძახნია ინგოროყვას ცეცხლში გახვეულს და ერთ საათში დამწვარა. მიზეზი არ იციან.

— როგორც ს. ლიხაურიდან გვატყობინებენ, ამ ბოლო დროს ძლიერ გახშირდა ქურდობა. დღე არ გაივლის ისე, რომ რამე ამგვარი არ მოხდეს. „ხუნხუზობას“ ეწევიან უმთავრესათ მეზობელი აჭარელები. ამ ერთი თვის განმავლობაში 60 სული ხარი გაუტაცნიათ ლიხაურიდან. ამ ერთი კვირის წინათ ქობულეთიდან ლიხაურში მომავალ მგზავრებს ღახვედრიან შეიარაღებული აჭარლები და გაეძარცვავთ. ხალხმა მიიღო ზომები ამ უსიამოვნო დამოკიდებულების მოსასპობათ.

ქუთათურის შენიშვნები
(ჭალიან და სხვათა შორის)

წარსულ კვირას ადგილობრივმა მეპურეებმა ქუთაისის ქალაქის საბჭოს პურზე ნიხრის მომატება მოსთხოვეს, რადგან მეფქვილეებმა ფქვილი გაგვიძვირესო. ქალაქის „მამებმაც“, შეამოწმეს რა მათი ცნობები, ყურად იღეს მათი სათხოვარი და ყველა ხარისხზე თითო კაპიკი წაუმატეს და გახადეს 1 ხარისხის პური—14 კ., მეორესი—13 კ. და მესამესი—12 კ. ამით წახალისებულ მეპურეებმა ამ კვირაში კიდევ მოითხოვეს ნიხრის მომატება. ისინი თავიანთ თხოვნას ასე ასაბუთებენ: „დღეს მეფქვილეებმა ტომარზე 2—3 მან. მოგვიმატეს და ამისათვის ძველი ნიხრით პურის გაყიდვა აღარ შეგვიძლიაო; ჩვენ ქონებას ზედ ვადებთ და ლამის არის სულ გავლატაკდეთო. თუ მოგიმატებიათ კიდევ თითო კაპიკი, თორემ ჩვენ იძულებული ვიქნებით პურის ცხობა შევწყვიტოთ და მცხოვრებლები მშივრები დავტოვოთო.

ამ მუქარით შეშინებულმა ქალაქის გამგეობამ 17 ენკ. ფიცხლავ მოიწვია საბჭოს საგანგებო კრება, თუმცა მისი წევრები იმდენათ დაზანტებულნი არიან ქალაქის საზოგადო საქმეების კეთებაში, რომ ამ პირდაპირ მათი კუჭის საქმის მოსაწესრიგებლათაც ვერ მოსულიყვენ—54 წევრში, 14 კაცმა ძლივს მოიყარა თავი. შეკრებილნი ვერ ენდვენ მეპურეთა წარმოდგენილ ცნობებს და დაავალეს გამგეობას და საბაზრო კომისიას ახლავე შეკრიბონ ცნობები სხვა და სხვა ქალაქებიდან ფქვილის ფასების შესახებ. გამგეობამაც აქეთ იფრინა ტელეგრამები, იქით აფრინა და მართლაც რუსეთის ქალაქებმაც დაამოწმა, რომ ერთის მხრით მოუსავლობის და, მაშასადამე, ხალხის შიმშილობის გამო და მეორესით დიდძალ ხარბლეულ საქონლის საზღვარგარეთ გაზიდვის გამო ფქვილი 2—3 მან. გაძვირდაო. წინეთ 5 ფუთიანი ტომარი 6—7 მ. ღირებული, დღეს № 4 ღირს 9 მ. 50 კ., № 5 9 მ. 35 კ. № 6—9 მ., № 7—8 მ. 50 კ. ამ ცნობებზე დამყარებულ საბაზრო კომისიამ ხმოსნის მ. დარახველიძის თავმჯდომარეობით დაადგინა, რომ არსებულ ნიხრს კიდევ უნდა მიემატოს თითო კაპეიკიო და ეს ნიხრი დროებით, ორი კვირით შამოვიღოთო.

რადგან საქმე ასეა, მომატებით კი მოუმატოთო, განაცხადა ბ. მოსეშვილმა, მარა ერთი გვითხარით, არსებობს თუ არა რაიმე მეთვალყურეობა მეპურეებზე, რომ ისინი კარგ პურს აცხობდენ. დღეს კი ქუთაისში გამომცხვარი პური კაცს არ ეჭმება: რა გინდა შიგ არ იყოს: მწერი ათასნაირი, ხილეულობის კანები, ბანლები ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა აქაურ პურში, განგებ გამოუმცხვარია, რომ მძიმე მოვიდეს. არსად სოფელში ასე ბინძურათ და ცუდათ პური არ ცხვება, როგორც ქუთაისშიო, დასძინეს მ. ქიქოძემ, ჭილაძემ და სხ. „Тутъ полное отсутствіе чистоты“-ო და დაავალეს საბაზრო კომისიას, რომ ამის წინააღმდეგ ზომები მიიღოს.

წინანდელ ნიხრზე თითო კაპ. მომატებითო, განაცხადა „къ свѣдѣнію“ ქალაქის თავმა, მცხოვრებლებს ედებათ ზედმეტი გადასახადი წელიწადში 32.000 მან. და დღევანდელი მომატებით კი იგი უნდა გაორ-სამკეცდესო და ხომ მოგეხსენებაო ასეთ უსაჭიროეს საგნების ხმარებაში ყოველთვის მომეტებულ ნაწილს ღარიბი ხალხი იხდის მდიდართა ჯიბის გასასკელებლათ.

სამ დღეს უკან (20 სექ.) შეკრებილმა საბჭომ, მოისმინა რომ ზემოყვანილი აზრი საბაზრო კომისიისა, დაადგინა: არსებულ ნიხრს კიდევ მოემატოს თითო კაპ. და ამრიგათ, ქუთაისი კავკასიის ქალაქებში პირველი „починъ“-ის პატრონია პურზე ნიხრის პროგრესიულათ მატებაში.

კი მარაო, განაცხადა ხმოსანმა ბ. მოსეშვილმა, თუ პური გაგვიძვირდა, ხორცმა რაღა დაშავა, რომ ერთხელ, სიძვირის დროს მომატებული ფასები 12—13 კაპ. დღეს საქონლის ასეთ სიაფის დროს მაინც იგივე ნიხრი არსებობს ამ უპირველეს მოთხოვნების სანოვაგეზეო. საკლავი საქონელი დღეს მეტათ გაიაფებულია: საუღლე ხარი, რომელიც 60—70 მან. იყიდებოდა, დღეს იგი სახორცეთ 10—15 მ. ფასობს, რადგან წელს მომეტებული საძოვარი ბალახეულობაა. მაშ რა უშლის მეყასბეებს ხორცზე ფასი დაუკლონ. როცა საქონელი გაძვირდება, მაშინ ხომ ყელში დანით გვწდებიან და თუ ნიხრს არ მოუმატეთ, გავიფიცებითო, გვემუქრებიან. სამართლის მაძიებელ ხმოსნის განცხადება ყველას ჭკუაში მოუვიდა და შეშდეგ სხდომაზე უსათუოთ ეს საკითხი განვიხილოთო დაუდასტურეს.

თუმცა ამ საკითხს არ შეეხება, მარა ასეთსავე უსამართლობას ვხედავთ, განაცხადა იმავე ხმოსანმა კრებაზე, რომ დღეს მედროგეებისათვის საქონლის გადმოსატანი ნიხრი არ არის დაწესებული და იმათ თავგასულობას საზღვარი არ აქვს: სადგურიდან შუა ბაზარში, ასეთ მცირე მანძილზე ფუთში 2 კაპ. და ხანდისხან მეტსაც იხდევინებიან. საკვირველია, რომ ყოველგან ამგვარობაზე ნიხრი არსებობს და ქუთაისში კი ყველა ღვთის ანაბარათ არის მიშვებული, აქ არავითარი წესი არ არსებობს, ვისაც როგორ უნდა, ისე მოქმედობსო. ეს მას ვაჭრებმაც დაუმოწმეს და მოითხოვეს, რომ მედროგეებისათვისაც ნიხრი დაწესდესო.

ქუთაისის ქალაქის კასა რომ მუდამ ცარიელია და მისი მოლარე მუდამ უფულობაზე წუწუნობს,—ეს არ ახალია, ძველია. გამგეობის ახალ წევრს ბ. ი. ფანცხავას კარგი აზრი განუზრახავს ამ სიცალიერის ამოვსებისათვის, ე. ი. შემოსავლის შემომატების და, მაშასადამე, კასაშიც ფულის გაჩენისათვის. ამას განზრახვა აქვს ქალაქის საზოგადო კასაში ყველა ძველებურათ ხელს არ ურიალებდეს, ფულის შემოტან-გამტანი ყველასათვის ცხადათ, ნათლათ ჩანდენ, რადგან ფული რომ ყოველგვარ წებოზე უფრო ხელსა და ქისას ეწებება,—ეს მას ყველაზე უფრო წარმოუდგენია. კარგი საქმე განუზრახავს ქალაქის გამგეობის ახალ წევრს, მეტადრე დღეს, როცა ყოველ ჩვენ საზოგადო საქმეების მეტათ დიდი ხვრელები უჩნდება ამ მხრით და ლამის არის ბევრს სულიც ამოხდეს. მაშ მკაცრი მეთვალყურეობა და წეს-რიგის დამყარება ყოფილა საჭირო და გვიკვირს, რომ ამდენხანაც არ ფიქრობდენ საზოგადო საქმის ამ ნაწილის ყურადღებაზე...

ამხელათ ქალაქის კასის გასაძლიერებლათ ბ-ნ ფანცხავას სამრეწველო გადასახადების საკითხი აუღია. ამ დარგში შეუმჩნევია, რომ სამრეწველო დაწესებულებანი, როგორიცაა: სასტუმროები, სამიკიტნოები, სარდაფები, საჩაიები, ტრაქტირები და სხ. ძილიან ცოტა გადასახადებს იხდიან ქალაქის სასარგებლოთ, შედარებით სხვა ქალაქებთან. ბათუმში მაგ. ყოფილა სასტუმროები და ავეჯით მოწყობილი ოთახები—12 და შემოდის მათგან წლიურათ 2400 მან., სამიკიტნოები, ტრაქტირები და რესტორანები არის 90 და შემოდის 7,380 მან. სარდაფებია—140 და შემოდის 9,800 მ., საჩაიები—25 და შემოდის 1,075 მ. და შემოდის 20,655 მან. ფოთში 13 სასტუმროა და შემოდის 1,560 მ., სამიკიტნო, ტრაქტირი და რესტორანი 65 და შემოდის 5,850 მ., სარდაფია 40 და შემოდის 5,600 მ., საჩაიეა 40 და შემოდის 1,020 მან. და სულ ამათგან შემოსავალია 14,010 მან. ქუთაისში კი 100 სასტუმრო და მოწყობილი ოთახებია და შემოაქვს 1,200 მ., 300 სამიკიტნო, ტრაქტირები და რესტორანებია და შემოაქვს—2,700 მ., 16 სარდაფია და შემოაქვს 1,120 მან. და 25 საჩაიეა და შემოაქვს 545 მან. და სულ 5,645 მან.

ზემორე მოყვანილი ციფრები თავისთავათ ლაპარაკობდენ და ამიტომ აღარც მომხსენებლის მხრით დასჭირვებია ბევრი განმარტება და არც არა ხმოსნებს მოუთხოვია მათი ახსნა. დაადგინეს, რომ ქალაქის შემოსავლის ამ დარგს გადასახადი უნდა მოემატოს. ეს ერთი, შემდეგ ვნახოთ რა საშუალებას გამონახავენ „ქალაქის მამები“ თავიანთ ასე დაცალიერებულ კასის გასაძლიერებლათ.

ამ კრებაზე ქალაქის თავმა წაიკითხა ორი თხოვნა ხმოსნის, რკინის გზის წარმომადგენლის სალავიოვისა და გიმნაზიის ინსპექტორის მიხეილ სალარიძისა, რომელნიც აცხადებენ, რომ ხმოსნობაზე ხელს ვიღებთო. პირველს მიზეზათ თფილისში სამსახურში გადაყვანა მოყავს, ხოლო მეორე სამსახურის გამო მოუცლელობას ასახელებს თავის განებების მიზეზათ, თუმცა ჩვენ კი გვგონია ზოგიერთაგან თავის დანებების მიზეზი უფრო ღრმა უნდა იყოს, ვინემ ასეთი ოფიციალური განცხადება. ეს ღრმა მიზეზები კი ერთის მხრით ჩვენებურ, ქუთათურ კენჭობიაში იმალება, რაღაც ასში 90 პროცენტი კერძო ინტერესებით მოქმედობს და ამის და მიხედვით ირჩევენ მოღვაწეთ სამოღვაწეოთ საზოგადო საქმეში. საზოგადო, საერთო ინტერესი, ობიექტიური საზომი ამა თუ იმ მოღვაწის დაფასებასა იქ, სადღაც კუნჭულშია მიჩქმალული და იშვიათათ თუ რომელიმე ბედნიერს გაახსენდება მისი ხალხისთვის თვალწინ დაყენება, მათი ხელმძღვანელობა.

ისო.

პროვინცია

სოფ. უზუნლარი (ბორჩალოს მაზრა). ქალის მოტაცება ფულებისათვის აქეთ ხშირი მოვლენა არის. 16 სექტემბერს დილის მატარებლით სად. სანაინში მოვიდენ ცნობილი მდიდარი ქალანთაროვის ცოლი და რამოდენიმე ნათესავები, მათ შორის თფილისელი ვაჭარი აბოიანცი. ქალანთაროვი გაზაფხულზე გადაიცვალა თფილისში და აქ, თავის სოფელში დაასაფლავეს. ჭირისუფლები მოსულიყვენ ჩვეულებისამებრ სანახავათ. როდესაც ესენი ცხენებით სადგურიდან სოფელში მიდიოდენ, გზაზე დახვდათ რამოდენიმე შეიარაღებული ავაზაკი, დაიჭრეს ქვრივი ქალანთაროვისა და ვაჭარი აბოიანცი; სხვა სამი ქალი და ერთი კაცი გაუშვეს, მხოლოდ იმ პირობით, რომ როდესაც ქალანთაროვის ქვრივისთვის მოიტანონ 20,000 მან. და აბოიანცისთვის 1000 მან. მაშინ გავანთავისუფლებთ დაჭერილებსო. შეშინებული მნახველები ისევ სადგურზე ჩამოვიდენ და შუადღის მატარებლით თფილისში დაბრუნდენ. ვნახოთ რა იქნება! შიშობენ ეგზეკუციას ჩამოგვიყენებენო!

„იანეულ ისელი“

მიხაილოვი (ხაშური). 18 ამ თვეს აქ მოხდა არჩევნები წვრილ მემამულეთა კურიაში. ხალხი აქაც, როგორც სხვაგან, გულგრილათ და უსიცოცხლოთ მიეგება არჩევნებს. მემამულეთა რიცხვი კრებაზე სულ 20—30-მდე გამოცხადდა, რომელთაც აირჩიეს ხუთი რწმუნებული. არჩეულები ს. დ. მისცემენ ხმას.

— ამ დღესვე, საღამოს 8 საათზე აქ შემდეგი ამბავი მოხდა. როცა სახალხო მატარებელი სადგურზე იდგა, ბაზარში სროლა ატყდა. ხალხს შიშის ზარი დაეცა. მთელი პოლიცია ფეხზე დადგა. შემოარტყეს ალყა როგორც ბაზარს, ისე სადგურსაც; დაუწყეს ჩხრეკა ყველს, ვინც კი ხელში მოყვათ. აღმოჩნდა რომ, უცნობები თავს დასხმიან და მძიმეთ დაუჭრიათ საკუთარ მაღაზიაში ვაჭარი ლადო გძელოვი. ეს მეორეჯერაა, მას თავს დასხმიან მოსაკლავათ. გძელოვი ხუთი ტყვიით ყოფილა მუცელში დაჭრილი. თუმცა ბევრი სახლები გაჩხრიკეს, მაგრამ თავდამსხმელები ვერ აღმოაჩინეს. მეორე დღეს ეკვით დაიჭირეს ორი დეპოს მოსამსახურე-მუშები, მაგრამ ისევ გამოუშვეს.

სტუმარი

ლანჩხუთი. საკითხი 52 კაცის საზოგადოებიდან გადასახლების შესახებ, კვლავ წარსდგა საზოგადოების წინაშე. ის დიადი ღვაწლი მთავრობისა, რომელიც გამოიხატება ამ უკანასკნელ თვის მოღვაწეობაში—გახლავს 52 კაცის „პრიგოვორით“ გაცემა! „პრიგოვორი“ დაამტკიცა გუბერნატორმა, მაშასადამე, 52 კაცი უნდა გადასახლდეს! მარა შეიძლება ამ პრიგოვორის ასრულება? იმ პრიგოვორში, რომელიც ხალხმა პოლიციის ძალდატანებით შეადგინა, სხვათა შორის, მოხსენებულია რომ თუ ვინიცობაა საზოგადოება—ადმინისტრაციის პირველ მოთხოვნილებისამებრ— ყველა გადასასახლებელ პირებს არ წარმოადგენს, იმ შემთხვევაში საზოგადოება მოვალეთ რაცხს თავის თავს მთავრობას უზღოს თითოეულზე სამი ათასი მანეთი! ჩვენ ეიცით რომ საზოგადოება პრიგოვორს სისრულეში ვერ მოიყვანს, რადგან მის განკარგულებაში ორ არის ასეთი უფლება; ამნაირათ, აქ აშკარაა „შტრაფის“ აუცილებლობა. აი მშვენიერი დღეც მოახლოვდა და ჩვენმა მამასახლისმა ოზურგეთის მაზრის უფროს! [illegible] პეშა, რითაც მამასახლის ევალებოდა „პრიგოვორის კაცების“ დაუყოვნებლივ წაყვანა. მამასახლისი დატრიალდა და სამაზრო სამართველოს წარუდგინა თოთხმეტი კაცი, რომელნიც დღესაც სატუსაღოში სხედან და იტანჯებიან. დანარჩენი 38 კაცი? არსად სჩანს და პრიგოვორის ძალით და მთავრობის ბრძანებით საზოგადოებამ უნდა გადაიხადოს (38-ჯერ 3000) 114,000 მანეთი! შეუძლია საზოგადოებას ამ ფულების გადახდა? არასგზით! მაშ როგორ ვიმოქმედოთ? რა ვქნათ? აი სწორეთ ეს აზრი უტრიალებდა ყველა საზოგადოები სწევრს თავში, ეგზეკუციის და მთავრობის მრისხანების მოლოდინში. ხალხი დაწრიალდა. ყველა ის, რაც ლანჩხუთლებს დღეს გაჭირვება აზის, არის ნაყოფი წარსული მოუფიქრებლობის, მარა დღეს მონანიება, წარსულის კრიტიკა კი არ შველის საქმეს, არამედ ცხოვლათ მოქმედება, და აი, გააფთრებული ენერგიით დაეძღაუჭენ თვით საქმეს. სამშაბათს გათენებამდე, დაიწყო ხალხმა თავის მოყრა. თვით ხალხი სოფლათ გაიფანტა, ყველა სამუშაოზე და ტყეში მიმავალი გზები გაკავებული იყო, რათა დიდძალი ხალხი მოეწვიათ ამ ფრიად სერიოზულ საქმის გადასაჭრელათ. ნაშუადღევ ს ორი სათი იყო, რომ ხალხი შეიკრიბა. არც ერთი საზოგადო კრება არ ყოფილა ჯერ ისეთი საინტერესო და დიდმნიშვნელოვანი თავისი შინაარსით, როგორიც დღევანდელი! არც ერთ საზოგადოების ყრილობას არ გამოუჩენია იმდენი გამჭრიახობა და შორსმჭვრეტელობა, რამდენიც დღევანდელმა. თავმჯდომარის და მდივნის არჩევის შემდეგ კრება ერთსულოვნობით შეუდგა პოლიტიკურ საქმის გარჩევას. საკითხი ასე იყო დასმული: „დავახასიათოთ ჯერ საზოგადოთ, თუ რამდენათ სამართლიანი იყო პირველი დადგენილების შედგენა“. ამ საკითხმა საინტერესო კამათი გამოიწვია. აი პირველი გლეხის სიტყვები: „ბატონებო, მე მინდა პირველ პრიგოვორის შესახებ ვილაპარაკო. მთავრობის ზე-გავლენით პირველი პრიგოვორის შემადგენლობა, იურიდიულათ უკანონოა. აი ფაქტი. პრიგოვორით გადასახლებულთა რიცხვში ურევია სხვა საზოგადოების წევრნი. საზოგადოებას უფლება არ აქვს სხვისი საზოგადოების კაცი გადაასახლოს. შემდეგ გადასახლებულთა რიცხვში არის აზნაურები და სამღვდელო პირნი. საზოგადოებას უფლება არა აქვს აზნაური და სას. წოდების პირი გადაასახლოს. შემდეგ, დადგენილებაში, როგორც ვიცით, მამა აწერს ხელს თავის შვილების გადასახლებაზე, არიან ისეთებიც, რომელნიც თავის თავზე აწერენ ხელს თავისივე გადასახლებაზე! ამა მითხარით რომელი კაცი ისახლებდა და ციხეში იჯდენდა თავის თავს? რომელი მამა ასახლებდა შვილს?! ეს არის ფაქტი ნათელმყოფელი იმისა, რომ დადგენილება უნებურათ იყო შედგენილი“. აი ნიმუში მეორე ორატ. ნათქვამისა. „საზოგადოებას არავინ ჰყავს გადასასახლებელი, ყველა ისინი, ვინც დადგენილებაში მოჰყვენ, არიან ხალხისთვის ძალიან სასარგებლონი, და ამისათვის ყველანი უნდა განთავისუფლდენ„. შემდეგ გამოთქვა ის აზრი, რომ რადგან სულ ყველას დადგენილებიდან გამორიცხვა შეუძლებელია პრაქტიკული მოსაზრებით, ამისათვის ორი იქნება თუ სამი დადგენილებაში ჩავტიოთო! ამ სიტყვის წინააღმდეგ აზრიალდა მთელი კრება, ყველანი გაიძახოდენ: ყველა ისინი, ჩვენი შვილები, ჩვენი ინტერესების დამცველებიაო!

დიდი ხნის მწვავე კამათის შემდეგ, დადგენილებიდან გამორიცხეს მთელი 47 კაცი. ამოირჩიეს დეპუტაცია ხუთი კაცისაგან შემდგარი, რომლებსაც დაეკალა ქუთაისის გუბერნატორთან წასვლა და საქმის მოწყობა.

ვნახოთ როგორ მოქცევა გუბერნატორი...

ახალი ბლოკი.

პასუხი ფილ. მახარაძეს

ჩვენს გაოცებას საზღვარი არა აქვს! „ნიშადურის“ მიერ გალექსილი თქვენი და ხარბინში შეგროვილი ფულების ამბავი ცილის-წამებათ და შეურაცხყოფათ მიგიჩნევიათ... ახირებული პრეტენზიაა, სწორეთ! ეს ცილი და შეურაცხყოფა

აგერ მეორე წელიწადია რაც თანა გდევთ ყოველ დღე და ყოველს ნაბიჯზე და საბუთიანად ვერავითარის თავის მარილებით ვერ მოგირეცხიათ იგი... „ნიშადურს“ არ შეეძლო და არც ნება ჰქონდა ხმა ჩაეკმინდა და გაჩუმებულიყო მასზე, რაც საზოგადოებასა და მწერლობაში სალაპარაკოთ და საკამათოთ გამხდარა. ეს ერთი.

მეორე — სამედიტორო სამართალში მითხოვთ და ის კი არ გინებებიათ გვაუწყოთ, რა საგანზე უნდა იქონიონ მსჯელობა მედიატორებმა, რა საქციელს უნდა დასდონ მსჯავრი: თქვენს—ხარბინში შეგროვილ ფულების არ გადაცემას „დანიშნულებისამებრ (გურულებს), თუ „ნიშადურის“ მხილებას, რომელსაც წინამორბედთან მიუძღვის დიდი პოლემიკური აურ-ზაური და მითქმა-მოთქმა საზოგადოებაში?

მესამე—მემუქრებით... არ ვიცი რა ხასიათისა და ღირსებისა ეს მუქარა? ჩვეულებრივია—ესე იგი, ზურგს უკან თავდასხმა ან ჩასაფრება და... ამისთანეები თუ პირდაპირი? მუქარისა არ მეშინიან, რადგან გრძნობა შიშისა რა ხანია მონელებული მაქვს და ადრევე შევურიგდი ყოველსავე მოსალოდნელ ხიფათს და ფათერაკს. ხომ მოგეხსენებათ: „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა“, მეც სავსებით შევითვისე და შევისისხლხორცე ეს მარტივი სიბრძნე დიდებული რუსთაველის მიერ ნაანდერძევისა. პირადათ თქვენი არ მეშინიან, რადგან ვიცი ვერას გაბედავთ და არც როდისმე რასმე გაგაბედვინებთ, თორემ ეგ თქვენც კარკათ იცით. მაშ რა საჭიროა მუქარა? იგი ვერ გაპრის, ვერ გაგვაჩუმებს. ჩვენ განვაგრძობთ უსიამოვნო მოვალეობას: ნიღაბის ჩამოგლეჯას, მხილებას! ყოველ შემთხვევაში, თუ კი ეს თქვენ ოდნავ მაინც დაგამშვიდებთ, ჩვენ არც სამედიატორო სამართალზე გეტყვით უარს და ჩვენის მხრივ ვასახელებთ პეტრე სურგულაძეს და ვახტანგ მუსხელიშვილს.

დეე, გაგვსამართლონ!

ვალ. გუნ ა.

25 სექტ. 1907 წ.

რუსეთის ამბები

სამღვდელოების საიდუმლო საზოგადოება. კონსისტორიების რამდენიმე მოხსენების თანხმათ ამ ბოდო დროს დაარსებულა ეკლესიის მსახურთა საიდუმლო საზოგადოება; რომელსაც მიზნათ ქონია: 1) სამღვდელოების შეკავშირება ზოგიერთ საეკლესიო წესების (ზეთის კურთხევის და ადსარების) მოსასპობათ, 2) მოსპობა ხარჯის აკრეფისა და მის მაგიერათ ფულის ფონდის დაარსებისა და 3) მწყიდრო გაერთიანება მთელი სასულიერო წოდებისა ჭეშმარიტ ქრისტიანულ იდეების დასაცავათ. უწმ. სინოდს ამ ამბის გამო დაუგზავნია ცირკულარი, რომლითაც რუსეთისათვის მავნებლათ და საშიშათ ცნობს ასეთ კავშირის არსებობას და სასტიკათ მიუწერს საეპარქიო ეპისკოპოზებს—თვალყური ადევნეთ თქვენს ხელქვეთ მოოფ მდგდლებს და მიიღეთ ეფვადი დონისძიება ასეთი კავშირის არსებობის გამოსარძიება ასეთი კავშირის არსებობის ნინაააღმდეგ შემოხვევაში სინოდი ხარისხის წართმევას ემუქრება ეპისკოპოზებს.

დეპუტატებზე მზრუნველი საზოგადოება. მოსკოვში არსდება საზოგადოება, რომელსაც მიზნათ აქვს დახმარება აღმოუჩინოს ბირველად და მეორე ხარისხის ყოფილ დეპუტატებს,—დახმარება გამოიხატება რაც ფულით, ისე სასამართლოს მოძებნით **და სხ.**

სად არის რუსეთის საშველი? კაზ. „სტოლ. უტრო“ კორესპონდენტს უკითხავს „რუსის ხალხის კავშირის“ ლიდერ დუბროვინისთვის—რა უშველის რუსეთს ანარქიისგან. დუბროვინს ხელათ უპასუხნია: უნდა ჩამოყალიბდეს 11 ბირველ-ხარისხოვანი ბირი, 200 მეორე-ხარისხოვანი და 3 ათასი ქვეგიდან მოქმედი. კითხვაზე—თუ მაშინაც არაფერი გეშველა რუსეთისა, დუბროვინს უპასუხნია: მაშინ კიდევ 3000 კაცი უნდა ჩაშოიბრჩოს. მაგრამ ვის შესწევს იმდენი უდმობლობა, რომ იმდენი ხალხი გაყლიტოს. ამ კითხვაზე დუბროვინს ბირდაბირ უპასუხნია: ჭეშმარიტ რუსებისა.

ოფიციოზების გაუქმება. ხმა დადის, რომ სტოლიპინს კიდაუწყვეტია გაუქმოს ოფიციოზური კაზეთი „როსია“ და ოფიციოზ. „ცნობათა ბიურო“.

„სკანდალი“ მატარებელში. ბეინდაკორიბინსკის რკინის გზაზე ბეტერბურგსა და ცარსკოე სელოს შუა დიდი „სკანდალი“ მოხდა, რომლის გმირი შეიქნა „რუსის ხალხის კავშირის“ ცარსკოსელსკის განყოფილების თავმჯდომარე ედენოვი. როცა კონტროლიორს ამ გაუბატონისათვის ბილეთი მოუთხოვნია, მას უპასუხნია: მე ბილეთი არა მაქვს, განა არ იცი ტუს. ხ. კავშირის ც.-სელსკ. განყოფილების თავჯდომარე ვარ? კონტროლიორმა მოსთხოვა ედენოვს—ბილეთი აიღეო. შეიქნა ჩხუბი. „მოკავშირე“ ცივი ხმით კაჭიოდა, გვერდში ხელს იცემდა, შემდეგ გადარდა ვაგონის ბაქანზე, ჩამოგლეჯა თოკი და გაქანებული მატარებელი ერთბაშათ გაჩერდა. ამან მგზავრებში დიდი აღიქოთი გამოიწვია და მათ მოითხოვეს კაკედოთ ედენოვი მატარებლიდან, რაც კიდეც შესრულებულ იქნა მახლობელ სადგურზე.

სამხედრო ორგანიზაციის საქმე. ქ. ხსოვში სამოსამართლო პალატამ გაარჩია ირკუტსკისა და ენისეისკის ბოდეების სამხედრო ორგანიზაციის საქმე, რომელსაც მიზნათ ქონდა—საოფიცროთ შეიარაღებულ ჯანუებით არსებულ სახელმწიფოთ და საზოგადოებრივ წყობილების დაშლა, დემოკრატიულ რესპუბლიკის დამყარება და მიწებზე კერძო საკუთრების მოსპობა. ეფეფა 13 ბრალდებულს—10 ჯარის-კაცს და 3 კარეშეს—მეესაჯათ ციხეში დაპატიმრება 3—4 თვიდან 1 წლამდე, წინასწარი ტუსაღობის ჩათვლით.

სოფლათ. ბენზის გუბერნიაში ამ ბოდო დროს ძალიან გახშირებულა „არესტები“ გლეხების შორის.

ექიმთა პიროგოვის საზოგადოების გამგეობამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: რადგან რამდენიმე გუბერნიის აღმინისტრატორები მოითხოვენ ექიმებისგან დაუოვნებლივ ცნობები მიაწოდონ ხალხმე აღმინისტრაციას დაჭრილ-დაშავებულ ავათმყოფთა შესახებ, საზოგადოების გამგეობა თავის მოვალეობათ რაცხს განცხადოს, რომ ასეთი მოთხოვნა ეწინააღმდეგება ექიმის ძირითად მოვალეობას—უექიმოს უფალ ავათმყოფს. ვინც მას მიმართავს და დაიცვას მათი სიდუმლოებს, ამასთან ასეთი მოთხოვნა კანონის წინააღმდეგია, ეფოდად ანორმალურ პირობებში აუენებს მთელ საქმეო მოღვაწეობას და უზომოთ ვნებს ავათმყოფებსაც და ექიმებსაც, რომლებიც ძალდებული ხდებიან გასწიონ მათთვის სრულიად შეუფერებელი მოვალეობა—ჯაშუშობა... ამიტომ გამგეობა აუცილებლათ საჭიროთ ცნობს დაუოვნებლივ გაუქმებულ იქნას ზემოხსენებული უკანონო მოთხოვნა.

„მოკავშირეთა“ შორის. მოსკოვში რუსის ხალხის მარიინის განყოფილებაში აკურთხეს „კავშირის“ დროშა. სხვათა შორის, „რეჩი“ წარმოსთქვა ბერ-მონაზონმა გურიმ და ის აზრი გაატარა, რომ მხოლოდ მონანიებს უშვლის რუსის ხალხს დაფუჭებისგანო. გრიგმუტმა განცხადა—ბერმონაზონმა დიდებული აზრი გამოთქვა. აუცილებლათ საჭიროა მთელი რუსეთის მონანიებაო. ვთხოვოთ სინოდს, რომ მან დდე დანიშნოს საეოოგელთა მონანიების მოსახდენათ. შემდეგ ოდაპარკეს დუმაზე. ნაზარეკმ მ განცხადა—რუსის ხალხს არა სურს დუმა. ეს ხალხი ეოგელთვის წინააღმდეგი იყო თვითმპყრობელობის შეზღუდვისაო. მესამე დუმის არჩევნებისადმი ხალხის გულგრილობა ზედმეტი საბუთია იმისა, როგორ ეჯავრება ხალხს ეს დაწესებულებაო. შემდეგმა ორატორმა მოიწოდა „მოკავშირენი“—ვისაც კი ტენზი გაქვთ არჩევნებში მონაწილეობა მიიღეთო. მეო,—განაგრძო მან, დონის ოდქში ვიუავი და დავწმუნდი, რომ „განმათავისუფლებლები“ ტუუიდათ რაცხენ კაზაკების თავიანთ მომხრეებათ: კაზაკების მთრახები კიდევ მზათ არიან გაიესეირნონ „კრამოდნიკების“ ზურგზეო.

პროფ. კავშირების უბინოთ დარჩენა. რადგან კიევში განხშირდა ჩხრეკა-დაჭერა ბრალეულსიონსალურ კავშირებში, რომლებიც მოთავსებულია ქალაქის სახლებში, ამის გამო მდგმურთა ერთმა ნაწილმა თხოვა ქალაქის თვითმართველობას—მოგვცალეთ კავშირებიო. ეს თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა და ახლა კავშირები ბინებს ვეღარსად შოულობენ.

სოფლათ.

ბალტსკის მაზრის სოფ. რაკულოვას კლეხებსა და მამულის მოიჯარადრეთა შორის ხშირათ ხდებოდა შეხლა-შეკეთება აგრარულ ნიადაგზე და ბოდოს 7 სექტემბერს დამით შემდეგი ამბავი დატრიალდა. ამ დღეს კლეხებს ღღეობა ქონდათ და ბევრი მათგანი შეზარხოშებული იყო. შუადამისას მამულში იფეთქა შეშველებლმა ტეტხლმა და დაიწვა აუარებელი ქონება. ტეტხლი კლეხებმა წაუკიდეს. ჯოხებითა და ქვებით შეიარაღებული კლეხები არავის უშვებდენ ტეტხლის განადგურებათ. ტეტხლთან მოიკრიბენ ბოქაული და ურიადნიკი, მაგრამ კლეხებმა ქვებით ძალზე დაბეგვეს ორივე, განსაკუთრებით ბოქაული, რომელმაც დრმა ჭრილობა მიიღო თავში. მეორე დღეს მოვიდა ისპრავნიკი და მან „ადგილზე წესიერება“, რამდენიმე მოთავე დაიჭირა.

— კრასნოვნენის მაზრის ერობაში, როგორც ბევრგან სხვაგანაც, ხმასხებს შორის მემამულენი რიცხვით გაციდებათ ჭარბობენ კლეხებს. კლეხებმა ერობის კრებაზე წინადადება შეიტანეს გადადებულ იქნას ხალხის განათლებისათვის 5,000 მანეთი, მაგრამ ეს წინადადება ეგვდა მემამულეებმა ერთხმათ გაუშვეს. სამაგიეროთ მათ 4,000 მანეთი გადუდვიათ სტრაუნაკების შესანახათ.

უცხოეთი

გერმანია. სამედიტორო სასამართლომ, რომელშაც მონაწილეობას დებულობდენ კარდ კუტეი, ლეგენი და შტადტგენი, მიიღო დადგენილება. ამ დადგენილების თანახმათ სოც.-დემოკრატიული პარტიიდან გამოირიცხა „ანარქო-სოციალიზმის“ დამარსებელი ფრიდბერგი.

ფრიდბერგმა „სასამართლოში განაცხადა, რომ პარლამენტარიზმის წინააღმდეგია, მომხრეა აქტიური ანტიმილიტარიზმის ბრძოლა-განდის, საოგელთა კეთილეგის და პირდაპირი ანარქისტული ზედგაგლენისა. დადგენილებაში ნათქვამია: „ანარქო-სოციალიზმის“ ბრინციპები არ ეთანხმებიან ანარქიზმის ბრინციპებს. თუ ფრიდბერგმა შეითვისა ანარქისტული ბრინციპები, ის ამის გამო კეთილ კიდევ სოც.-დემოკრ. პარტიიდან. ფრიდბერგს ღვწლი მიუძღვის ბროდეტარიატის წინაშე; სამსჯავრო სცნობს, მის პირად ზნეობრივ დიასებებს, და მწუხარებას აცხადებს, რომ კავშირს სწეკეტს ფრიდბერგთან, მაგრამ სამსჯავრო იძულებულია აღნიშნოს, რომ, როგორც მისი ნათქვამიდან ჩანს, ფრიდბერგი ადარ არის სოც.-დემ. და ეგდარ ჩაითვლება სოც.-დემ. პარტიის წევრათ.

—

საფრანგეთი. ქიუდ გედს კადუწყვეტია გამოსცეს საკუთარი კაზეთი. ამბობენ, ეს იმის ნიშანია, რომ შეერთებულ სოციალისტების ბანკაში განხეთქილება მოხდაო. ეი რას ამბობენ თურმე გედის მეგობრები ამის შესახებ.:

ჟორესის კაზეთი „ჰუმანიტე“ მთელი პარტიის ორგანოა არ არის; ის არი პარტიის იმ ნაწილის ორგანო, რომელსაც მიდრეკილება აქვს ანარქისტულ-სინდიკალისტურ ტენდენციებისადმი. ამაღე დრმის სოციალისტურ პარტიაში არსებობს ძლიერი უმცირესობა. ეს უმცირესობა სდგას მარქსის სწავლა-მოძღვრების ნიადაგზე და სრულიათ არ თანაუგრძნობს შრომის გენერალურ კონფედერაციის მოდგაწეობას. ამიტომაც პარტიაში განხეთქილებაზე დაპარაკი უსაფუძვლოა. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ თართოთ იქნეს გამოხატული ეგვდა მიმდინარეობანი, რომელნიც პარტიაში არსებობენ. ბოდოს კაზეთის გამოსვლისთანავე ხედ-ახლა გამოვა აგრეთვე სოციალისტური პარტიის ბოსიბილისტთა ჯგუფის ფოფილი მეთაურის ბრუსის კაზეთი „ბროდეტარი“.

—

ოქტომბერში ქ. ნანსში მოხდება სიეზდი რადიკალთა და რადიკალ-სოციალისტთა პარტიების ნაციონალური სიეზდი. სიეზდმა უნდა განიხილოს კითხვა, გაეთიშონ თუ არა ადნიშნული პარტიები სოციალისტურ პარტიას. უკვე მომხდარა რამოდენიმე წინა-კრება რადიკალების პარიზში, ტულუზაში და სხ. ეგვდან სასტიკათ დაგმეს შეერთებულ სოციალისტების ანტი-მილიტარისტული ტენდენციები. ტულუზის სიეზდზე ორატორებმა თქვეს: საკუთარი ბინა ეფოთ ეროსა-ეფოთ ეროსა, ამ სიეზდის თავმჯდომარემ ურნამა თქვა:

განა შეგვიძლია ერთათ ვიმუშაოთ იმათთან, ვინც ჩვენ პარტიას ბურჟუაზიულს უწოდებს, ვინც კლასთა ბრძოლას ქადაგებს, ვინც სამშობლოსადმი ზიზღით და მძულვარებითაა გაჟღენთილი, ვისაც თავი მოაქვს მტრების წინაშე მოდადატურ მოქმედებით, ვინც საეოგელთაო კეთილეგის საჭიროებას ადიარებს? ასეთებთან ჩვენ საერთო არა გვაქვს რა. ეკლესია უკვე ჩამოვაშორეთ საკუთარ სახელმწიფოს. ახლა ჯერი იმაზეა მიმდგარი, რომ რესპუბლიკანური პარტია ჩამოშორდეს ახლა ეკლესიას—სოციალისტურ პარტიას. კეთილი-ანი სოციალიზმს ახლა ჩვენთან საერთო ადარა აქვს რა. მე ფრიად მახარებს ეს კარგი მოება. კმარა კომბრომისები. დადგა დრო, როცა ჩვენ ან ერთ მხარეზე უნდა მოგვექცეთ ბარიკადებს, ან მეორეზეო, სთქვა ორატორმა.

როცა ასეთი დიდი ბზარი გვსმის სხვადასხვა ბურჟუაზიულ-შოვინისტებისა, უნებლიეთ გაგონდებათ ჩვენებური ნაციონალისტ შოვინისტები, რომელნიც გაჭკივიან: „ქართველო ხელი ხმალს იკარ“!

დეპეშები

(პეტერბურგის დეპ. სააგ.)

24 სექტემბერი

არჩევნები

პეტერბურგი. სააგ. ცნობებით, 24 სექტ. მიემატა 310 ვიბორშჩიკი მიწათ-მოქმედთაგან. ამათგან 2 ეკუთვნის რუსთა კავშირს; 52 ოქტომბრისტია; 5 მირნოობნოვლენტი; 19 კადეტი; 1 მემარცხენე კადეტი; 3 ნარდოვეტი; 50 მონარქისტთა მომხრე; 160 მემარჯვენე; 5 ზომიერი; 3 უპარტიო;

ქალაქის ამრჩევლებთაგან მიემატა 143 ვიბორშჩიკი. აქედან: ჭეშმარიტი რუსთა კავშირის წევრი 2; ოქტომბრისტი 19; მემარცხენე ოქტომბრისტი და მემარჯვენე კადეტი 5; მირნოობნოვლენტი 4; კადეტი 26; ტრუდოვიკი 1; სოც. დემოკ. 3; ნარდოვეტი 9; მონარქისტთა თანამოაზრე 9; მემარჯვენე 76; 2 ზომიერი; მემარცხენე 5; ბროგრესისტი 20; უპარტიო 5; გამოურკვეველი 4;

სოფლის რწმუნებულთაგან მიემატა 86 ვიბორშჩიკი. ამათში ჭეშმარიტი რუსი 1; ოქტ. 1; კადეტების მომხრე 2; კადეტი 2; სოც. დემ. 1; მონარქისტთა წოდებული 12; მემარჯვენე 25; ზომიერი 4; მემარცხენე 10; ბროგრესისტი 1; უპარტიო 27;

ტვერი. მიწათ-მოქმედთა სიეზდზე გაშვეს ეფვდა ეფოვიდ დეპუტატები, მათ შორის კუზმინ-კარავაეკი. როდიჩევს ეფთი არ დაუდგამს.

პეტერბურგი. 24 სექტემბერს მიემატა 24 ვიბორშჩიკი მუშათაგან. ამათგან 8 სოც. დემოკრატი; 2 ს. რევოლ. 2 მემარცხენე; 1 ბროგრ. 1 ეკადერესი მემარცხენე;

მუშათა რწმუნებულების მიემატა 47, ეფვდანი გამოურკვეველნი არიან; სოფლის რწმუნებულებს მიემატა 99; აქედან 60 მემარჯვენეთ წოდებული; 4 ზომიერი; 22 უპარტიო; 7 მემარცხენე.

ბალტა. თავის ბინაზე მოკლეს მდიდარი ებერი ტერეშჩენკო და მისი ცოლი.

კიევი. ოთხი ბორბოტ-მომქმედი თავს დასხა კორიდოროის და დასჭრეს. ორი იმათგანი დაიჭირეს.

ივანოვო ვოზნესენსკი. ადმოაჩინეს ფარული ბინა, სადაც იბეჭდეს ერთი ვინტოვკა, 4 რევოლვერი და ფეფლები. ბინის პატრონები დაიჭირეს.

ბაქო. გაიფიცენ ბიბი-ეიბათის ეფვდა „ბრიმისლები“.

სოხუმი. დამით მოკლეს ის კონტრაბანდისტი, რომელმაც ბოდიცის დაუსახელა კორჩიცისა და ბოქაულ სკორიკოვის მკვლელები.

ბელოსტოკი. ანტონოვკაში მოკლეს ეფოვილი კორიდოროი და ახლა კონდუქტორთა შესული.

ფეოდოსია. რკინის გზის ვაგონში უცნობებმა გაძარცვეს არტელშჩიკი. წაიღეს 15,000 მანეთი.

კამენეც პოდოლსკი. სოფ. ეკატერინოვკაში დაიწვა 200 სახლზე მეტი; ტეტხლი გადავიდა მდინარე დნესტრის შეორე ნაპირზე მდებარე სოფელში და ისიც სულ გადაიწვა.

კრასნოიარსკი. სოფ. დვურსკოში მოკლეს ურიადნიკი.

ორიოლი. ბეჟიცაში მოკლეს კორიდოროი.

ტობოლსკი. 22 სექტემბერს სოფ. ბუტარბიტკაში ტიუმენიდან გამოგზავნილი კატორჟნიკები დაეტენ კანგოის. შეტაკების დროს ორი კატორჟნიკი მოკლეს. დაიჭრა ექვსი ჯარის-კაცი. 11 კატორჟნიკი გაიქცა და თან გაიტაცა 7 ვინტოვკა.

ხოლერა

ეკატერინოსლავი. 17—27 სექტემბრამდე ხოლერით ავათ გახდა 3, მოკვდა 1 კაცი.

კრასნოიარსკი. 21—24 სექტემბრამდე ავათ გახდა 3, მოკვდა 2 კაცი.

ტომსკი. მთელს გუბერნიაში ავათ გახდა ხოლერით 24, მოკვდა 15 კაცი.

ნიჟნეგოროდი. ხოლერის გაჩენიდან ავათ გახდა 411, მოკვდა 195.

სარატოვი. 23 სექ. გუბერნიაში ავათ გახდა 5, მოკვდა 2 კაცი.

სიმბირსკი. ავათ გახდა 4, მოკვდა 3 კაცი.

ომსკი. ხოლერით ავათ გახდა 13, მოკვდა 9 კაცი.

ტომსკი. 22 სექტ. ავათ გახდა 14, მოკვდა 12 კაცი.

რედაქტორ-გამომცემელი
იოსებ ზ. გიორგობიანი

განცხადებანი

ახალი სამოსახლოები

იყიდება

ვერაზედ „სალხინოსა“ და მალაკნების უბან შუა, მაკაროვების ადგილებში. ძვირფასი ადგილებია და საუკეთესო სამოსახლოები საბურთალოზედ, სამხედრო სოშეს გზის პირზე, მუშტაიდის პირდაპირ მტკვარს გაღმა. სამოსახლოები ასიდან ას ოც ოთხ-კუთხედ საყენამდეა, ფულის შეტანა თვე და თვეა, ექვსი თვის განმავლობაში, 1 სექტემბრიდან, ფულის შემოტანის შემდეგ დაუმტკიცდებათ ადგილები. ვისაც ნებავს, შეუძლიათ მოიკითხოს „ახალშენი“-ს კანტორაში სევასტი გაჩეჩილაძეს, სასახლის ქუჩაზე, თავადაზნაურობის სახლში და ვერის დალმართზე იქ, სადაც უწინ იყო ქალაქის საყასბო და დღეს იყიდება ალექსანდრე გაბაღვის ადგილები—ბაგრატ თოროზოვს. ფასებსაც იქ გაიგებენ.

გამგენი: სევასტი მიხ. გაჩეჩილაძე, ბაგრატ თოროზოვი და ისააკ ბახტაძე

(10—ფ.—4)

კლინიკა

კბილის ავათმყოფობისა

ლ. შტრეიხერისა

კბილის ხალქიმო სკოლასთან

ერევნის მოედანი, (პუშკინის ქ., 3).

ავათმყოფების მიღება დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე. კვირაობით 9-დან

ფასი მკურნალობისა:

საექიმო რჩევა საზოგადოთ	20	კ.
ერთი კბილის ან ძირის ამოღება	20	„
კბილის გაწმენდა	50	„

ერის უფრო ძვირიც:

პლომბა გუდაპერჩისა	50	„
„ „ ცემენტისა	1	მ.
„ „ მეტალიური	1	„
„ ვერცხლისა ამალგმა	1 „ „ 50	„
„ „ ემალისა	1 „ „ 50	„
„ „ ფაიფურისა	3 „ „ 50	„

ერის უფრო ძვირიც 5 მანეთამდე:

„ „ წმინდა ოქროსა	3	„

უფრო ძვირიც.

ხელოვნ. კბილები კაუჩუკზე	1	კბილი:
„ „ დიოტორიტიული	1	„
„ „ კრამპონისა	1 50	„

ხელოვნ. კბილ. კაუჩუკზე ოქროს კაკვებით:

„ „ თითო კაკი	1	„

მატარებლის მიმოსვლა

(18 აპრილიდან 15 ოქტომბრამდე)

(ფრიხილებს გარეშე ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრიხილებში—თფილისისა)

თფილისიდან მიდის

ბაქოს: 1) სწრაფი (როსტოვისა), დილის 6 საათზე (6 ს. და 58 წ.); 2) საფოსტო, საღამოს 7 ს. 36 წ. (8 ს. 34 წ.); 3) სამგზავრო, დილის 8 ს. 5 წ. (9 ს. 3 წ.)

ბათუმს: 1) სწრაფი, ღამის 11 საათზე (11 ს. 58 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 12 ს. 5 წ. (1 ს. 3 წ.)

ბორჯომს: 1) ნაშუადღევის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.); 2) დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.)

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო, ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 2) მამგზავრო, შუადღის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.)

თფილისში მოდის

ბაქოდგან: 1) სწრაფი (როსტოვისა), ღამის 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 11 ს. 33 წ. (12 ს. 31 წ.) 3) სამგზავრო, ღამის 11 ს. 35 წ. (12 ს. 33 წ.)

ბათუმიდან: 1) სწრაფი, დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 2) საფოსტო, საღამოს 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.); 3) სამგზავრო, დილის 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.)

ბორჯომიდან: 1) დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.) 2) საღამოს 9 ს. 2 წ. (10 ს.)

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო, დილის 5 ს. (5 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო, ნაშუადღევის 4 ს. 15 წ. (5 ს. 13 წ.)

მსწრაფლმბეჭდავი ამხ. „სოლაპანი“ მადათოვის კუხეული, მუხრახსკისა სახლი № 1.